ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



პაატა იმნაძე: „სიცხისგან დასაცავად დავლიოთ ბევრი სითხე და ვიყოთ ჩრდილში“ გვ.5

29 ივნისიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი

ტომი 4



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ორშაბათი, 2 ივლისი, 2018 №154 (7699) ფასი: 60 თეთრი

# შოთა მალაშხია: „ქართულ ოცნებას“ თავში ქვა უხლია, მთავარია, ქვეყანას არ მიადგეს ზიანი“



„ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილება ისეთი არასერიოზული იყო, რომ მთავრობაში მიმდინარე ცვლილებებზე საუბარი მარაზმია“ გვ.3



## დავით ქაცარავა: „რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკა საქართველოსთვის დამღუპველია“ გვ.2

„სანამ ასე დავუთმობთ, რუსი გააკეთებს ყველაფერს, რასაც მოისურვებს“

## „ეს იქნებოდა მაშველი რგოლი დასახრჩობად განწირული ხელისუფლებისთვის“

რას ურჩევს ლია მუხაშავრია „ქართულ ოცნებას“ გვ.4





## იზორიასა და ხელისუფლების სკანდალი — მილიონობით ლარი ჯაშუშისთვის გვ.5

### სამართალი გვ.7

## „მეზობლის კაცმა დაინახა, რომ ქალს ადამიანის კიდური მოჰქონდა“

რა მოხდა ჭიათურაში



## სუსის უფროსის მოადგილე გაერო-ს წევრი სახელმწიფოების კონტრტერორისტული უწყებების ხელმძღვანელ პირთა მაღალი დონის პირველ გლობალურ კონფერენციაში მონაწილეობს გვ.4



### ეკონომიკა გვ.5

## კანონმდებლობით 32.5 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის პირობებში ყველა ტიპის სამუშაო უნდა შეიზღუდოს





## საგანგაშო სტატისტიკა — 6 თვეში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 24 მუშა დაიღუპა გვ.6

## კახელები, შესაძლოა, მოსავლის გარეშე დარჩნენ



ISSN 1987-9385

8 საფრანგეთის ციხიდან პატიმარი რედუან ფაიდი ვერტმფრენით გაიქცა

3 განათლების სამინისტრო აბიტურიენტებს გამოცდების ჩატარების დროის გადამოწმებას ურჩევს

6 პოლიციელებს დღეიდან ხელფასი 250 ლარით გაეზრდებათ

2 საოკუპაციო ხაზთან არასრულწლოვანი დააკავეს

# „სანამ ასე დავუთმოებთ, რუსი გააკეთებს ყველაფერს, რასაც მოისურვებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ დამფუძნებელი, მსახიობი დავით ქაცარავა პასუხობს.

***— ბატონო დავით, ბოლო ერთი კვირაა, საოკუპაციო ხაზიდან გატაცებების სერია მიმდინარეობს. შაბათს არასრულწლოვანი გაიტაცეს ე.წ. მესაზღვრეებმა სოფელ ჭვრინისიდან. თქვენ ერთ-ერთი პირველი ავრცელებთ ხოლმე ამ ინფორმაციებს. რა ხდება? ამბობენ, რომ ეს ყველაფერი უკავშირდება ტატუნაშვილი-ოთხოზორიას იმ 33-კაციან სიას. რას იტყვით თქვენ, ამან გააღიზიანა ოკუპანტი?***

— მართალი ბრძანდებით. ამ ბოლო პერიოდში ძალიან მოიმატა გატაცებების რაოდენობამ. იმასაც აღვნიშნავ, რომ ძალიან ცუდად მენიშნა ლაგოდეხიდან მესაზღვრეების გატაცება. მე არ მჯერა იმ ვერსიის, რომ თურმე მესაზღვრეებმა დაარღვიეს საზღვარი და ამის გამო ისინი დააკავეს რუსებმა. დარწმუნებული ვარ, რომ რუსებმა უკვე მერამდენედ და ტრადიციულად დაარღვიეს ჩვენი საზღვრები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საზღვარი და შიდა ქართლის შემთხვევაში საოკუპაციო ზოლი და გაიტაცეს ჩვენი მესაზღვრეები.

***— ეს ახალი პრეცედენტია, კახეთის რეგიონიდან გატაცებას ადგილი არ ჰქონია აქამდე.***

— დიახ, ასეთი რამ არ მომხდარა არასოდეს და ეს ძალიან საგანგაშოა. საგანგაშოა ასევე ის, რომ არანაირი რეაგირება ჩვენი ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა. მხოლოდ გაჟღერდა რუსეთის ვერსია, რომ მათ დაარღვიეს საზღვარი და ამიტომ ისინი აიყვანეს და შემდეგ დაგვიბრუნეს. ძალიან არადამაკმაყოფილებელი იყო ჩვენთვის ეს რეაგირება.

***— რას უკავშირებთ ყოველივე ამას?***

— მე არა მხოლოდ ამ სიას ვუკავშირებ, თუმცა ეს სია ძალიან ქმედითი არ იყო, იმიტომ, რომ არც ერთი რუსი ჩინოვნიკი არ მოხვდა ამ სიაში. დაახლოებით ათი დღის წინ დე ფაქტო სეპარატისტულ ხელისუფლებაში შექმნეს ტერიტორიების დაბრუნების საპარლამენტო კომისია და დაბრუნების პირველ პრიორიტეტებად დაასახელეს სოფელ კოდის მიმდებარე ე.წ. დოლომიტის საბადო, რომელიც ძალიან სტრატეგიული და მნიშვნელოვანია. ეს გახლავთ მადნეული, რომელიც გამოიყენება მძიმე მრეწველობაში.

***— ქარელის რაიონის სოფლები კოდა და აბანო?***

— დიახ, სწორედ კოდა და აბანო და მეტსაც გეტყვით, როგორც მე გავარკვიე, ეს საბადო ეკუთვნის ხაშურის რაიონს. სწორედ ამ დადგენილების მიღების შემდეგ დაიწყო დიდი გააქტიურება რუსი ოკუპანტების მხრიდან. აქედან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ, 24-საათიან პატრულირებაზე გადავსულიყავით. გუშინ უკვე მეხუთე დღე იყო პატრულირების და რუსი ოკუპანტების მორიგი დარღვევა დავაფიქსირეთ. მათ დაარღვიეს საოკუპაციო ზოლი და გადმოვიდნენ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რამდენიმე ასეული მეტრით.

***— რით არის განპირობებული მათი ასეთი გააქტიურება?***

— ჩვენ კოდა-ჭვრინისის მიმართულებით გააქტიურებას კვლავ ვუკავშირებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც გააჟღერეს უკვე ოსმა სეპარატისტებმა, რომ ტერიტორიები უნდა დაიბრუნონ.

***— რას ნიშნავს, დაიბრუნონ? თვლიან, რომ ეს ტერიტორიები მათია?***

— კი ბატონო, ასე თვლიან. მეტსაც გეტყვით, თრუსოს ხეობა, ყაზბეგი, გუდაური, ფაქტობრივად მცხეთამდე მათი ტერიტორიაა. ასევე ისინი თვლიან, რომ ბაკურიანამდეც მათი ტერიტორიაა. ჩვენგან კი პასუხს არ იღებენ.

***— არანაირი საპასუხო ნაბიჯები არ გადაიდგა ჩვენი ხელისუფლების მხრიდან?***

— ფაქტობრივად — არაფერი. ყოველ შემთხვევაში, არც აღშფოთება, არც შეშფოთება, არანაირი მსგავსი განცხადებები მათი მხრიდან არ მოგვისმენია. მეტსაც გეტყვით, შაბათს, როდესაც მე გავავრცელე ინფორმაცია ბავშვის გატაცების თაობაზე, კარგა ხანი არ ადასტურებდა ამას შს სამინისტრო. თვითმხილველი არ გვყავს და მსგავსი ინფორმაცია არ გვაქვსო. რამდენი საათი გავიდა და ბოლოს ძლივს დაადასტურეს ამ ბავშვის გატაცება.

### დავით ქაცარავა: „რუსეთის არგალიზიანების პოლიტიკა საქართველოსთვის დამღუპველია“



***— რატომ არ დაადასტურეს?***

— მე ვთვლი, რომ ხელოვნურად ხდება ამ ინფორმაციის ვაკუუმში მოხვედრა. ასევე ძალიან დუნედ გაატარეს მესაზღვრეების გატაცება ლაგოდეხში, ასევე დუნედ გაატარეს უპილოტო საფრენი აპარატის გამოჩენა ლაგოდეხის თავზე, ანუ რეაგირება ნულოვანია.

***— და ჩვენი ხელისუფლება სრულიად უმოქმედოა?***

— ასეა. რეალურად გამოდის, რომ რუსეთს სრული კარტბლანში აქვს ჩვენთან მიმართებით მოქმედების კუთხით. ირღვევა ჩვენი უფლებები, ირღვევა ჩვენი უსაფრთხოება და ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ საოკუპაციო ზოლის გასწვრივ, აბსოლუტურად დაუცველები არიან.

***— პოლიციაც ხომ პატრულირებს?***

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოლიცია იქ არის, ჩვენებს ეიმედებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს პოლიციას არ აქვს ის მანდატი, რომ ხელი შეუშალოს რუს გამტაცებლებს, ოკუპანტებს, რომ თავისი მოქმედებები განახორციელონ. რეალურად მე შეხება მაქვს უამრავ პოლიციელთან, ძალიან კარგად ვიცნობ ვითარებას საოკუპაციო ხაზზე და ვიცი, რომ ეს ადამიანები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს იმ ბრძანების ფარგლებში, რომელიც მათ აქვთ. თუმცა დღეს მოსახლეობა დიდწილად დაშინებულია.

***— სერიოზულ სტრესში ცხოვრობენ?***

— რა თქმა უნდა. არ იცი, რა წუთს გაგიტაცებენ. 80%-ის შემთხვევაში რუსები თვითონ არღვევენ საოკუპაციო ხაზს და გადმოდიან და აქედან მიჰყავთ. მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, სად დაინახავენ ჩვენს მოქალაქეს, ისინი ასრულებენ დავალებას. ეს ინფორმაცია ვიცი თავად მოსახლეობისგან. ამიტომ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან!

***— ბოლო ინციდენტზე რა ინფორმაციას ფლობთ? არასრულწლოვანი ბიჭის გატაცებას ვგულისხმობ.***

— არასრულწლოვანთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია არ არსებობს, იმიტომ, რომ ეს ბავშვი იყო მარტო, ნახირში იყო, საქონელი ჰყავდა წაყვანილი. თუ საიდან გაიტაცეს და როგორ გაიტაცეს, რომ დააბრუნებენ, ეს ბავშვი თავად იტყვის.

***— იტაცებენ და შემდეგ ორ-სამ დღეში უკან აბრუნებენ. ეს რა პოლიტიკაა, დაშინების?***

— დიახ, დაშინების. ერთი-ორი დღე არ აბრუნებენ, სანამ ოჯახი არ გადაიხდის ჯარიმას. ეს არის 2 ათასი რუბლი, რომელიც 80 ლარს შეადგენს. ასევე გეტყვით ერთ ფაქტს, მერეთიდან გატაცებულია გიორგი გორგიშელი, დაახლოებით ათი დღის წინ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაბრუნებული. აი, ასეთი მძიმე მდგომარეობაა დღეს საოკუპაციო ზოლთან და არ გაგიკვირდეთ, თუ დღესაც მოხდება გატაცება.

***— ამ ფონზე ხელისუფლება დუმს. ეს ყველაფერი არგალიზიანების პოლიტიკაში ჯდება?***

— ზუსტად ამას ვამბობ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ატარებს რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკას. დიახ, ეს არის შემაშფოთებელი და ეს არის დამღუპველი. არგაღიზიანების პოლიტიკა რომ არაეფექტურია, ეს უკვე დადასტურდა ამ წლების განმავლობაში. არგაღიზიანების პოლიტიკას არ მოუტანია ჩვენთვის არანაირი ბენეფიტი. არგაღიზიანების პოლიტიკის ფარგლებში, ამ წლების განმავლობაში, 53 კილომეტრი მავთულხლართი და საოკუპაციო ღობე გაივლო! არ ვაღიზიანებდით და მივიღეთ ეს! მივიღეთ 2 ათასზე მეტი გატაცებული! ხვდებით, ეს რა რაოდენობაა?! ჩვენ უკვე მივიღეთ ლაგოდეხიდან გატაცებული მესაზღვრეები. მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა საერთოდ! ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია, თუმცა პასუხი ერთია, არგაღიზიანების პოლიტიკა არაეფექტურია.

***— რისკენ მოუწოდებთ ხელისუფლებას?***

— მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ აუცილებლად, სასწრაფოდ შეცვალოს ეს პოლიტიკა! ეს არ მუშაობს. სანამ ჩვენ ვიქნებით ასეთი სუსტები და დამთმობები, რუსი გააკეთებს აბსოლუტურად ყველაფერს, რასაც მოისურვებს. მტკიცე პოზიცია უნდა შევიმუშაოთ. ყოველი გატაცება უნდა იყოს საერთაშორისო სკანდალის საფუძველი. ყველა გატაცებაზე უნდა იყოს არა უბრალოდ ინფორმაციის მოწოდება, არამედ — საერთაშორისო დონეზე აწეული სკანდალი.

## საოკუპაციო ხაზთან არასრულწლოვანი დააკავეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს. სუს-ის ცნობით, ამოქმედებულია ცხელი ხაზი და ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, საოკუპაციო ხაზთან დაკავებული არასრულწლოვანია.

— პირადად ვესაუბრე ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელობას. ისინი ხაზზე არიან, რათა ბავშვი დაუყოვნებლივ იქნეს გათავისუფლებული. ნებისმიერ ასეთი მოქმედება უკანონოა, მით უფრო როდესაც არასრულწლოვანს აკავებენ. ჩვენი მოთხოვნაა, შაბათ-კვირის მიზეზით, რომ ამ დღეებში მოლაპარაკებებს ვერ გამართავენ, ბავშვის გათავისუფლება არ შეყოვნდეს, — აცხადებს ქეთევან ციხელაშვილი „პირველ არხთან“ საუბრისას.

## ილია მეორე: „ჩვენ ერთმანეთის ჯვარი, ერთმანეთის სიმძიმე უნდა ვიტვირთოთ“

— ჩვენ ერთმანეთის ჯვარი, ერთმანეთის სიმძიმე უნდა ვიტვირთოთ!

ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა. მან მრევლს ერთმანეთის თანადგომისკენ მოუწოდა და მიმართა, დაეხმარონ ადამიანს, რომელიც იღუპება.

— უფალი იესო ქრისტე ყოველ ჩვენგანს ეუბნება: ვისაც უნდა შემოდგომა ჩემდა, უარყავ თავი თვისი, აღიღე ჯვარი თვისი და შემომიდექ მე. როგორ გავიგოთ, რომელია ჩვენი ჯვარი? ამას უფალი გვაჩვენებს, უფალი არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. უფალი გვაჩვენებს, სად არის ეს ჭეშმარიტება. წმინდა პავლე მოციქული ამბობს: ურთიერთსიმძიმე იტვირთეთ და ესე აღასრულეთ რჯული ქრისტესი. შეგვიძლია ჩვენ ერთმანეთის ჯვარი, ერთმანეთის სიმძიმე ვიტვირთოთ? ჩვენ უნდა ვიტვირთოთ, თუ გვინდა, რომ სხვამ იტვირთოს ჩვენი სიმძიმე. ეს არის მძიმე ღვაწლი, როცა ადამიანი სხვის სიმძიმეს იტვირთავს. ჩვენ იმ დღეს ვიხსენებთ, როცა თანადგომის დღე დაარსდა. ქრისტიანობა და ქრისტიანობის სიდიადე იმაშია, რომ ადამიანს აძლევს ძალას, აძლევს მადლს, აძლევს შესაძლებლობას, რომ სხვისი ჯვარი იტვირთოს. არის შემთხვევა, როცა ადამიანი უფსკრულის წინაშე დგას. ყოფილა ხშირი შემთხვევა, როცა ვხედავდი ადამიანს, რომელიც იღუპება, მინდოდა შველა, მაგრამ ის ადამიანი შველას უარყოფს. ჩვენ უფალს უნდა ვთხოვოთ, რომ ძალა მისცეს და აკურთხოს ერი თვისი, — განაცხადა პატრიარქმა.




გარდა ამისა, ილია მეორემ მრევლს მიმართა, რომ თუკი ადამიანის გულში იქნება საკუთარი ცოდვების განცდა და არა სხვისი განკითხვა, ის ბედნიერი იქნება და ვერავითარი მტერი ვერ მოერევა.

— არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სხვისთვის ცხოვრობენ და სხვას ემსახურებიან. არის ისეთი ადამიანი, რომელიც საკუთარ თავზე ნაკლებად ზრუნავს და ფიქრობს, სხვას უშველოს. ასეთი ადამიანები ბედნიერები არიან. ისინი სხვისთვის არიან დაბადებული. შევთხოვთ უფალს, რომ მოგვცეს ძალა, დავეხმაროთ ერთმანეთს და თანადავუდგეთ ერთმანეთს. დავეხმაროთ ისეთ ადამიანს, რომელიც იღუპება. ბევრია შემთხვევა, როცა იღუპებიან და ძალა არ ჰყოფნით, რომ თავი გადაირჩინონ. ღმერთმა მოგვცეს ძალა, მადლი და წყალობა, რათა შევიცნოთ თავი ჩვენი, — მიმართა მრევლს ილია მეორემ.

❖ ❖ ❖

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აბიტურიენტები დალოცა და მათ მისაღებ გამოცდებზე კარგი ნიშნების მიღება უსურვა.

— ჩვენ ვულოცავთ აბიტურიენტებს, რომლებიც ხვალ გამოცდებს აბარებენ. ღმერთმა დაგლოცოთ. კარგი ნიშნები დაგეწეროთ, — ბრძანა პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ლოცვის დასრულების შემდეგ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შოთა მალაშხია: „ქართულ ოცნებას“ თავში ქვა უხლია, მთავარია, ქვეყანას არ მიადგეს ზიანი“

## „ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილება ისეთი არასერიოზული იყო, რომ მთავრობაში მიმდინარე ცვლილებებზე საუბარი მარაზმია“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლოდროინდელ მოვლენებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი დეპუტატი, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერი შოთა მალაშხია აფასებს.

**შოთა მალაშხია:**

– რა უნდა ვთქვა ამ ცვლილებებზე? ამაზე დეტალური და შინაარსიანი ლაპარაკი შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ ხელისუფლება თანმიმდევრული იქნებოდა. მაშინ შეიძლებოდა პოზიციების გამოხატვა, გაამართლებს თუ არა ამა თუ იმ სამინისტროს გაერთიანება, ოპტიმიზაცია და ა.შ.

***– ხელისუფლება არათანმიმდევრულია?***

– რასაკვირველია. ისეთი არასერიოზული იყო ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილება, რომ მთავრობაში მიმდინარე ცვლილებებზე საუბარი მარაზმია. მანამდე რომ რესტრუქტურიზაცია მოახდინეს, მაშინ აგვიხსნეს ნორმალურად რამე? წინა პრემიერი, კვირიკაშვილი, დაბეჯითებით გვარწმუნებდა, რამდენიმე წელიწადი არსად წავალო. ამის მიუხედავად, მაინც გადადგა. მის შემცვლელად მოიყვანეს ისეთი კადრი, რომელსაც არავინ იცნობს, „ცენტრ პოინტში“ მის მიერ დაზარალებულების გარდა.

როცა ეს კაცი გვარწმუნებს, საჭირო რესტრუქტურიზაციას ვახორციელებო, რატომ უნდა დავიჯეროთ, ან სერიოზულად რატომ უნდა მივიღოთ? ხელისუფლება რომ თანმიმდევრული იყოს, ადრევე წარმოადგენდა კონცეფციას, რატომ და რისთვის ატარებს რესტრუქტურიზაციას, რა იზოგება, როგორ იზრდება ეფექტიანობა. ჩვენ ეს არც აქამდე მოგვისმენია და არც ამ დღეებში.



***– ბოლო რესტრუქტურიზაცია, ისევე, როგორც ვადამდელი არჩევნები, უთანხმოებას იწვევს „ქართულ ოცნებაში“. როგორი ფინალი შეიძლება ჰქონდეს ამ დაპირისპირებას?***

– მთავარია, ქვეყანას არ მიადგეს ზიანი, თორემ „ქართულ ოცნებას“ თავში ქვა უხლია. როგორ თანხმდებიან ერთმანეთში მისი წევრები, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ისაა, რომ მთელ საზოგადოებას უნდა თავისი არჩეული პარლამენტი. ეს პარლამენტი რომ ხალხის არჩეული არ არის და არ ასახავს მის ნებას, ფაქტია. ერთმანეთში გარიგებული ძალები ვერ გაასაღებენ თავს წარმომადგენლობით ორგანოდ. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ხალხის მოთხოვნაა.

***– მოქმედი საარჩევნო სისტემა ბევრ შეკითხვას ბადებს. მმართველი პარტიის მთავარი კოზირი მაჟორიტარებია. ამ სისტემით ისევ „ოცნება“ არ მოიგებს ვადამდელ არჩევნებს?***

– „ქართული ოცნება“ ისეთ ჩიხშია, რომ მაჟორიტარებითაც ვერ შეინარჩუნებს ახლანდელ მდგომარეობას. მმართველ პარტიას რესტრუქტურიზაციაც ვერ უშველის. „ქართული ოცნება“ სალანძღავი სიტყვა გახდა. საზოგადოებაში უკმაყოფილებაა. ხალხი ქუჩაში გამოსვლასაც აღარ ერიდება. ასეთ დროს ვადამდელი არჩევნებით სიტუაციის შეცვლა რეალურია.

თუ ამ გზით არჩეული პარლამენტი საზოგადოების ნების გამომხატველი იქნება და მაჟორიტარებიც არ წავლენ დინების წინააღმდეგ, მაშინ ასეთი პარლამენტი უფლებამოსილების ამოწურვამდე იმუშავებს. თუ ის საზოგადოების განწყობის შესაბამისი არ იქნება, მაშინ გარდაუვალი ხდება სასწრაფოდ სისტემის შეცვლა და სხვა არჩევნები.

***– საზოგადოების ნაწილი პირდაპირ აბამს მთავრობის რესტრუქტურიზაციას ხალხის პროტესტს. ნაწილი ამ მოვლენებს შორის კავშირს ვერ ხედავს.***

– შიშს ფართო თვალები აქვს. ივანიშვილს ხალხის შეეშინდა და მის კარზე დაფაცურდნენ. მმართველმა იგრძნო, რომ თუ არაფერს იღონებს, ჩაირეცხება. უცნაური ის არის, რომ ხალხი უსამართლობის გამო გამოვიდა და მას პასუხად კულტურისა და განათლების სამინისტროების შერწყმა დაახვედრეს. ამით უსამართლობა მოისპო, ეკონომიკა აყვავდა თუ კრიმინალს ეშველა? „ქართულ ოცნებას“ დრო გაჰყავს.

***– ხორავას ქუჩის საქმის გამოძიება პარლამენტშიც მიმდინარეობს და მის გარეთაც.***

– დავუშვათ, პარლამენტის კომისიამ ყველაფერი სწორად დაადგინა. მერე მასალები სხვა უწყებას არ უნდა გადასცეს? პარლამენტმა თავისი ნამუშევარი უნდა გააგზავნოს წულუკიანის პროკურატურაში. გამოდის, რომ ივანიშვილმა თავისი ქვეშევრდომები უნდა დასაჯოს, რაც წარმოუდგენელია. ამიტომ ის, ვინც პარლამენტის საგამოძიებო კომისიაში ვითომ სიმართლეს ადგენს, ხელს უწყობს ივანიშვილის „კეთილ მეფედ“ წარმოსახვას. მათი ლოგიკით, ქვეყანაში არიან ცუდი პროკურორები, გამომძიებლები, მინისტრები, მაგრამ არსებობს კეთილი ივანიშვილი, რომელიც ყველაფერს მოუვლის. „ოცნებამ“ ჯობია, ის გვითხრას, რა ხდება ეკონომიკასა და საგარეო სფეროში. ვერ გვეტყვიან, რომ საქმე კარგადაა.

***– უკვე გვითხრეს, რომ ეკონომიკაში ზრდაა.***

– ბახტაძე ამას რომ კაბინეტიდან ამბობს, მივიდეს და იგივე პენსიონერს, ქუჩის მოვაჭრეს, თუნდაც იმ სტუდენტს უთხრას, რომელიც სწავლის საფასურს ვერ იხდის. მივიდეს და უთხრას, ეკონომიკა სწრაფი ტემპით იზრდება და თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესებულიაო.

კორუმპირებული კლანის გარდა, ყველას ცხოვრება გაუარესდა. რუსების მხრიდან შეურაცხყოფამ უკვე იმ მასშტაბებს მიაღწია, რომ მესაზღვრეებს ლაგოდეხიდანაც იტაცებენ. განათლების სფეროში სრული კატასტროფაა. არ უმჯობესდება სამხედროებისა და პოლიციელების მდგომარეობა. უსამართლობასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე უკვე ვისაუბრე. ასეთ დღეში მყოფი ხელისუფლება დიდხანს ვერ გასტანს, რაც უნდა იძახოს, რომ წარმატებულ რესტრუქტურიზაციას ატარებს.

# ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების ინიციატივით გამოდის

ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“ პარლამენტს საქართველოში ნაციონალური მოძრაობის მმართველობის სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების ინიციატივით მიმართავს.

პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომაზე „საქართველოს პატრიოტების“ მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი წარედგინება, რომლის მიხედვით, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად უნდა გამოცხადდეს, ექვსი თვის ვადაში პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივი რეჟიმის ყველა მთავარ ფიგურანტს და ყველა რეზონანსული საქმის დამნაშავე პირი დაისაჯოს. თავის მხრივ, პარლამენტმა რეზოლუციის აღსრულების ოპერატიული კონტროლი უნდა უზრუნველყოს.



– სააკაშვილისა და ბოკერიას მმართველობის პერიოდში საქართველოში დამყარდა დანაშაულებრივი, ავტორიტარული რეჟიმი, რომელმაც: ა) არჩევნების გაყალბების გზით, განახორციელა საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების უზურპაცია; ბ) უპირობოდ დაიმორჩილა სასამართლო სისტემა, გაასამართლა და დამნაშავედ ცნო მოსახლეობის 8%-ზე მეტი, ერთ დიდ ციხედ აქცია მთელი ქვეყანა, რასაც თან ახლდა პატიმრების წამების, გაუპატიურებისა და ღირსების შელახვის მრავალგზის დადასტურებული ფაქტები, რაც აისახა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის დადგენილებაში; გ) სისტემური ხასიათი მისცა პოლიტიკური ოპონენტების დევნას, რაც აისახა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებაში, რომელშიც 190 პირი პოლიტპატიმრად არის აღიარებული, ხოლო 25 -პოლიტდევნილად; დ) ძალით წაართვა მესაკუთრეებს ყველა მსხვილი სატელევიზიო არხი და იძულებით აქცია ეს არხები თავისი დანაშაულებრივი ქმედებების მეხოტბეებად; ე) განსაკუთრებული სისასტიკით დაარბია 2007 წლის 7 ნოემბრის, 2009 წლის 6 მაისის, 2009 წლის 15 ივნისისა და 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციები, რასაც თან ახლდა მშვიდობიანი დემონსტრანტების მკვლელობა, დასახიჩრება და მასობრივი დაპატიმრება; ვ) მოსახლეობის დაშინების მიზნით, ქვეყანაში გამოაცხადა ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა, რის შედეგადაც, ღიად და ცინიკურად საზოგადოების დასანახად მოკლა 150-ზე მეტი ადამიანი; ზ) ასიათასობით ოჯახს უკანონოდ ჩამოართვა ქონება, ბიზნესი თუ კაპიტალი; თ) დააგვირგვინა თავისი მოღვაწეობა კოდორისა და ახალგორის სამარცხვინო ჩაბარებით, რამაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 22%-ის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. ჩამოთვლილ დანაშაულებზე პასუხისმგებლები უდაოდ არიან მ. სააკაშვილი და გ. ბოკერია და მათ მიერ კონტროლირებადი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისი განაყოფი „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, – ნათქვამია პარლამენტის რეზოლუციის პროექტში, რომელიც ფრაქცია „საქართველოს პატრიოტებმა“ მოამზადა.

# განათლების სამინისტრო აბიტურიენტებს გამოცდების ჩატარების დროის გადამოწმებას ურჩევს



განათლების სამინისტრო აბიტურიენტებს მათი გამოცდების ჩატარების დროის გადამოწმებას ურჩევს. როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განათლების მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულიამ განაცხადა, გამოცდების ჩატარების გრაფიკში გარკვეული ცვლილებებია.

– სამინისტროს გადაწყვეტილებით, ეროვნული გამოცდების პირველი კვირის განმავლობაში, შუადღის საგამოცდო სესიები გაუქმდა და გადანაცვლდა მომდევნო დღის დილის საათებში. ახლა მხოლოდ დილით არის საგამოცდო სესიები. ეს ინფორმაცია განთავსებულია როგორც საგამოცდო ცენტრის, ისე სამინისტროს ვებგვერდზე. აუცილებელია მისი გამოცდის დროის ცვლილების გადამოწმება, – აღნიშნა მურღულიამ.

# მეუფე სპირიდონი ითხოვს, ხულოს მერიის შენობა საპატრიარქოს გადაეცეს

სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი ითხოვს, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობა საქართველოს საპატრიარქოს, კერძოდ, წმინდა გიორგი მთაწმინდელის ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტს გადაეცეს.



აჭარის ტელევიზიის ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით ხულოსა და ხიჭაურში არაერთი შეხვედრა ჩატარდა, სადაც განაცხადეს, რომ მოთხოვნას 3 ათასამდე ხელმომწერი ჰყავს.

– ძალიან კარგი იქნება თუ გამოთავისუფლებულ შენობაში განთავსდება ინსტიტუტი, ვიდრე რესტორანი ან სასტუმრო. მოგეხსენებათ, გვერდზე ტაძარია და არავის ესიამოვნება, რომ აქ გაიხსნას სასტუმრო, მერე კაზინო, – განაცხადა მეუფე სპირიდონმა ერთ-ერთ შეხვედრაზე.

ხულოს მერიაში აცხადებენ, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ინსტიტუტის განთავსების მოთხოვნით სხალთის ეპარქიის წერილობითი მიმართვა უკვე შესულია. ხულოს მერის, გოჩა მელაძის განმარტებით, შენობის საპატრიარქოსთვის გადაცემის საკითხი ამ ეტაპზე არ განიხილება.

– როდესაც აშენდება ახალი ადმინისტრაციული შენობა, როგორც თავიდანვე იყო გაცხადებული, მოსახლეობასთან შეთანხმებით, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას ამ შენობის ბედის შესახებ, – განაცხადა ხულოს მერმა.

უახლოეს მომავალში ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ყოფილი საავადმყოფოს შენობაში გადავა, რომელსაც რეაბილიტაციას თურქი ბიზნესმენი გალიფ ოზთურქი ჩაუტარებს და ამისთვის დაახლოებით 500 000 ლარს დახარჯავს. აჭარის მთავრობის ინფორმაციით, თურქი ინვესტორი შენობას უსასყიდლოდ გაარემონტებს და ეს მისი საჩუქარი იქნება.

# „ეს იქნებოდა მაშველი რგოლი დასახრჩობად განწირული ხელისუფლებისთვის“

ნათია ხურცილავა



რას ურჩევს ლია მუხაშავრია „ქართულ ოცნებას“

ადამიანის უფლებადამცველი, იურისტი ლია მუხაშავრია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მთავარი პროკურორის შესახებ საუბრობს.

***— ქალბატონო ლია, რამდენად რეალურია, რომ ნეიტრალური მთავარი პროკურორი დაინიშნოს და ხელისუფლება ამ დათმობაზე წავიდეს?***

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება ამ დათმობაზე არაფრის დიდებით არ წავა. მთავარი პროკურორი გახლავთ საკვანძო ფიგურა, მით უფრო გამოძიების პროცესში და ჩვენი ხელისუფლება ამ ბერკეტს არ დათმობს. მართლაც დამოუკიდებელი პროკურორი რომ დაინიშნოს, მან უნდა შეცვალოს თავიდან ბოლომდე მთელი პროკურატურა, მისი პოლიტიკა, ახალი კადრებით უნდა დააკომპლექტოს სისტემა, ამას კი ხელისუფლება არ დაუშვებს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ეს მის ინტერესში არ არის. დღევანდელი ხელისუფლება ხელს აფარებს წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებს. ამ შემთხვევაში ორივე დამნაშავეა, დანაშაულის ჩამდენიც და მისი დამფარავიც. ამიტომ მგონია ეს გამორიცხული.

***— ამერიკაში ვიზიტით მყოფ პარლამენტის თავმჯდომარეს ხორავას ქუჩის ტრაგედიაზე ჰკითხეს. კობახიძემ თქვა, რომ ქართველი ხალხი უსამართლობის მიმართ მგრძნობიარეა. გამორიცხავთ, რომ რუსთაველზე შეკრებილი ათასობით ადამიანი გაკვეთილი იყოს ხელისუფლებისთვის?***

— ის საპროტესტო მუხტი, რომელიც რუსთაველის გამზირზე იყო, ხელისუფლებამ ისევ სათავისოდ გამოიყენა. იქ შეკრებილი ხალხი თავიდან არ ითხოვდა კვირიკაშვილისა და მთელი მთავრობის გადადგომას. ისინი სამართლიანი გამოძიების ჩატარებასა და რეალური დამნაშავეების დასჯას ითხოვდნენ ყველა დონეზე, რომ რეალურად შეცვლილიყო და ახალი სტანდარტი დამკვიდრებულიყო მართლმსაჯულების სისტემაში, მაგრამ ჩვენ რა მივიღეთ — კვირიკაშვილის სახლში გაშვება და მთავრობის გადანიშვნა.

ამიტომ მე არ ვფიქრობ, რომ ამ საპროტესტო მუხტმა რამე შედეგი მოგვიტანა ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

3-4 წლის წინ კახი კახიშვილს ჰქონდა სურვილი, რომ მთავარი პროკურორი გამხდარიყო, მაგრამ მას ჰქონდა მოთხოვნები. თუმცა, მაშინ ეს არ მოხდა და მოხდა ის, რაც მოხდა. თავის დროზე კახიშვილი რომ დაენიშნა მთავარ პროკურორად ამ ხელისუფლებას, იმ პირობით, რასაც ის ითხოვდა, მაშინ ეს ხელისუფლება ამ ვითარებაში არ აღმოჩნდებოდა.

როდესაც ხელისუფლება ვერ ხედავს მთავარი პროკურორის მნიშვნელობას მისთვის და სახელმწიფოსთვის, მაშინ ძალიან ძნელია, ისაუბრო იმაზე, რომ რაღაცა გააცნობიერა ან ისწავლა ხელისუფლებამ.

დასახრჩობად განწირული ხელისუფლებისთვის ეს იქნებოდა მაშველი რგოლი, თუკი მართლაც შეარჩევდა შესაბამის და ადეკვატურ კანდიდატს. ასევე, ქვეყნისთვის, სახელმწიფოსთვის ეს იქნება მაშველი რგოლი, რადგან ქვეყანა გაივსო ადამიანებით, რომლებსაც აქვთ უსამართლობის განცდა და რომლებიც დაზარალებულები არიან.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მურუსიძე და სხვები იმიტომ რჩებიან სასამართლო სისტემაში, რომ ჩვენ ევოლუციის გზით წავედით და არა — რევოლუციის გზით, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა თავის დროზე. ეს იყო ჭკვიანური ნაბიჯი თუ მიზანმიმართული ქმედება, როდესაც ამ ცვლილებაზე უარი თქვა ახალმა ხელისუფლებამ?***

— თუ ამოვალთ იქიდან, რომ ეს ხელისუფლება ხელს აფარებს წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებს, მაშინ ყველაფერი ნათელია.

***— ახლა თქვენი ოპონენტი გეტყვით, რომ, მაგალითად, სააკაშვილს გელაშვილის ცემის ფაქტზე 6 წელი მიუსაჯეს და როგორ აფარებს?***

— ეს არაფერს ნიშნავს, თუკი განაჩენი არ აღსრულდა. მართლმსაჯულება გულისხმობს სწრაფ, ეფექტურ გამოძიებას, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყვეს დამნაშავის ჯერ იდენტიფიცირება და შემდეგ დასჯა. ათასობით განაჩენი შეიძლება გამოიტანო, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს დამნაშავის დასჯას?! ასე ხომ სასჯელის ნამდვილი მიზანი არ მიიღწევა.

თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდე, თუნდაც ევოლუციის გზით სიარულის შემთხვევაში, ჩვენ მართლმსაჯულებისა და გამოძიების მიმართულებით ვითარება უნდა გაგვეუმჯობესებინა, რეალური ცვლილებები ამ სისტემაში უნდა გატარებულიყო.

მურუსიძეების სასამართლო სისტემაში დატოვება მიზანმიმართული იმიტომ მგონია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლების შიგნით გადატრიალება მოხდებოდა. ამ ფონზე კი არც აღმასრულებელ და არც საკანონმდებლო ხელისუფლებას არ ექნებოდა იმ თავგასულობის შესაძლებლობა, რაც დღეს აქვთ, მაგალითად, კონსტიტუციის გვერდის ავლით დროებითი, 3 თუ 4- კვირიანი მთავრობის დანიშვნის, რისი მოწმენიც დღეს ვართ. ეს ყველაფერი ნამდვილად შეუძლებელი იქნებოდა.

***— ახალი კაბინეტის წარმოდგენისას პერსონალიები თქვენთვის რამდენად იქნება ერთგვარი გზავნილი?***

— პერსონებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სუბიექტი ძალიან დიდ როლს ასრულებს ისტორიაში. ქარტეხილების დროს სწორედ სუბიექტებს აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუმცა, როდესაც ვხედავთ, რომ ნება არ არსებობს, ცხადია, არც პერსონალიები გამოჩნდებიან შესაბამისად.

# სუსის უფროსის მოადგილე გაერო-ს წევრი სახელმწიფოების კონტრტერორისტული უწყებების ხელმძღვანელ პირთა მაღალი დონის პირველ გლობალურ კონფერენციაში მონაწილეობს



გაერო-ს წევრი სახელმწიფოების კონტრტერორისტული უწყებების ხელმძღვანელ პირთა მაღალი დონის პირველ გლობალურ კონფერენციაში: „საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ტერორიზმის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით“, საქართველოს დელეგაცია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძის ხელმძღვანელობით მონაწილეობს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, დელეგაციის შემადგენლობაში ასევე არის გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კახა იმნაძე.

სესიის — „უცხოელი ტერორისტი მებრძოლების მხრიდან მომდინარე საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა“ ფარგლებში, საქართველოს დელეგაციამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ქვეყნის მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მოხსენება წარადგინა.

გაერო-ს წევრი სახელმწიფოების კონტრტერორისტული უწყებების ხელმძღვანელ პირთა მაღალი დონის პირველი გლობალური კონფერენცია ნიუ იორკში, აშშ-ში, გაერო-ს შტაბბინაში მიმდინარეობს. ღონისძიების მიზანია ახალი მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის გასაძლიერებლად. კონფერენცია 28 ივნისს, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერესმა გახსნა. ღონისძიებაში კონტრტერორისტული უწყებების ხელმძღვანელი პირები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას.

# რატომ ვერ შეუერთდა უხუცესთა კავშირი პანკისში ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ გამართულ აქციას

— ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ პანკისში აქციის გამართვის შესახებ მე საქმის კურსში არ ვიყავი. პარასკევს მეჩეთში ლოცვის დროს ერთ-ერთმა პირმა თქვა, ბირკიანში შეკრებააო. უხუცესთა კავშირი როცა რამე აქციას უერთდება, წევრები საკითხს ვიხილავთ და ისე ვიღებთ გადაწყვეტილებას. ამის დრო კი ფაქტობრივად აღარ იყო, — უთხრა პანკისის სათემო რადიოს უხუცესთა კავშირის წევრმა ხასო ხანგოშვილმა.

29 ივნისს სოფელ ბირკიანში ახალი ჰესის სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტის მოთხოვნით გამართულ აქციაზე რამდენიმე მონაწილემ თქვა, რომ უხუცესთა საბჭო მოსახლეობის მოთხოვნას არ შეუერთდა.

— დღეს არც ჩვენი უხუცესთა საბჭოა აქ, ისინი უბრალოდ ფულს იღებენ და მეტი არაფერი. ჩვენი უხუცესთა საბჭო ესენი არიან, ვინც აქ სხედან. ღმერთის ნებით ამათ მოვუსმენთ და მათი მოსმენით ჩვენს საქმეს გავაკეთებთ, — აღნიშნა აქციის მონაწილე დაუდ მარგოშვილმა.

ხასო ხანგოშვილის თქმით, არასწორია, რომ უხუცესთა კავშირის და მათ შორის მის მიმართ ასეთი შეურაცხმყოფელი ბრალდებები ისმის:

— ქისტური ადათ-წესების მიხედვით, უმცროსებს უფროსების მიმართ პატივისცემა მართებთ. დიდ ცოდვას სჩადის, ვინც მართალ ადამიანს ცილს სწამებს. არ ვაპირებ პოლემიკას იმაზე, ვის რა გაუკეთებია პანკისისთვის და კიდევ რას გააკეთებს. მე ვურჩევდი მათ, ღირსეულად მოიქცნენ და ადამიანებს უსაფუძვლო ბრალდებებით შეურაცხყოფას ნუ აყენებენ.

მისივე თქმით, თუ პანკისში რომელიმე ჯგუფი საიდანმე ფულს იღებს, სწორედ სალაფიტები არიან: „უცხოეთიდან გაუმჭვირვალე დაფინანსებას ეგენი იღებენ. უხუცესთა კავშირი კი წლების განმავლობაში ენთუზიაზმით მუშაობს“.

პანკისის სათემო რადიო უხუცესთა კავშირის კიდევ ერთ წევრ ზაურ გუმაშვილსაც დაუკავშირდა. კითხვაზე, რატომ არ მიიღო ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ გამართულ აქციაში მონაწილეობა, გუმაშვილმა განმარტა: „აქციის შესახებ ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. საამქროს მშენებლობა დავასრულე და ამ საქმეებით ვარ დაკავებული“.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი მუსა პანკისელი ამბობს, რომ პანკისის უხუცესთა კავშირის თავმჯდომარე ზელიმხან წუწაშვილმა აქციის შესახებ იცოდა.

— დუისის კლუბში შედგა სახალხო შეკრება, სადაც მოსახლეობამ კატეგორიული წინააღმდეგობა გამოთქვა ხეობაში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით. ამ შეხვედრას ყველა გვარის უფროსი ესწრებოდა და შედგა სია, სადაც ყველა გვარიდან რამდენიმე წარმომადგენელი დაფიქსირდა. ასევე ითქვა ისიც, რომ ჰესებთან დაკავშირებით ნებისმიერი პროცესის ორგანიზებისას ინფორმირებულნი იქნებოდნენ სიაში მითითებული გვარის წარმომადგენლები და ისინი თავის მხრივ უზრუნველყოფდნენ, გვარის დანარჩენი წარმომადგენლების მობილიზებას. აქ-



ციის ორგანიზებაც სწორედ ამ სქემით მოხდა. გარდა ამისა, ომალოს მკვიდრმა ახალგაზრდებმა მანქანით ჩამოიყვანეს სოფლის უხუცესების ნაწილი და უხუცესთა კავშირის თავმჯდომარეს ზელიმხან წუწაშვილს და კიდევ სხვა წევრს სთხოვეს წამოსვლა, თუმცა მათ უარი თქვეს ახალგაზრდების შეთავაზებაზე. გარდა ამისა არც სახალხო კრებაზე მოსულან, — აღნიშნავს მუსა პანკისელი.

სოფელ ომალოში მცხოვრებ შენგელი ტოხოსაშვილის თქმით, უხუცესთა კავშირის თავმჯდომარეს პირადად მან შეატყობინა, რომ მოსახლეობა საპროტესტო აქციის გამართვას აპირებდა.

— ზელიმხან წუწაშვილმა იცოდა, პირადად ვუთხარით, რომ უხუცესთა კავშირიც წამოსულიყო აქციაზე, ასევე კავშირის სხვა წარმომადგენელსაც ვუთხარით ამის შესახებ. შევთავაზეთ, რომ აქციაზე ჩვენ წავიყვანდით მანქანით, მაგრამ უარი გვითხრეს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ის ხალხი მოსახლეობის ინტერესებს არ იცავს. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ უხუცესთა საბჭოს ძალიან ცოტა ხალხი ენდობა და მოსახლეობაში მათი ლეგიტიმაცია ძალიან დაბალია, — უთხრა სათემო რადიოს შენგელი ტოხოსაშვილმა.

ბირკიანში, დასახლებული პუნქტიდან რამდენიმე ათეულ მეტრში, ჰესის სამშენებლო სამუშაოები მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, რამდენიმე დღის წინ დაიწყო. პანკისის ხეობაში მესამე ჰესს კომპანია „ალაზანი ენერჯი“ აშენებს. ჰესისთვის წყლის მიწოდება „ხადორი 2“-ის გამყვანი არხიდან მოხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბირკიანს ზემოთ ხადორამდე, დაახლოებით 4.5 კილომეტრზე, მდინარე ალაზანს მილსადენში მოაქცევენ. მდინარის კალაპოტში ალაზნის წყალი თითქმის აღარ დარჩება და ხადორის ხეობა ხოროჯოსწყლის, ბაწარას, ქვაჩადალისა და რამდენიმე მცირე შენაკადის იმედზე რჩება. „ხადორი 3“-ის მშენებლობის დასრულება 2019 წლის დეკემბრამდეა დაგეგმილი. 29 ივნისს გამართული აქციის შემდეგ ადგილობრივებმა მშენებლობა შეაჩერეს და გათხრილი არხები ტრაქტორისტს მიწით ამოავსებინეს.

# პაატა იმნაძე: „სიცხისგან დასაცავად დავლიოთ ბევრი სითხე და ვიყოთ ჩრდილში“

## „მე რომ ახალგაზრდა ვიყავი, კონდიციონერი საერთოდაც არ იყო, მაგრამ ვუძლებდით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე პასუხობს.

***– ბატონო პაატა, ძალიან ცხელი ზაფხული გვიდგას. დაავადებათა კონტროლის ცენტრი რეკომენდაციებს იძლევა, თუ როგორ უნდა მოიქცეს მოსახლეობა ასეთ დროს. რას ურჩევთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს?***

– პანიკაში ნამდვილად არ უნდა ჩავარდეს ჩვენი მოსახლეობა. ამაზე მაღალი ტემპერატურაც არის სხვა ქვეყნებში. მე რომ ახალგაზრდა ვიყავი, კონდიციონერი საერთოდაც არ იყო, მაგრამ ვუძლებდით. რაც შეეხება რჩევებს, პირველი რჩევა არის ის, რომ ადამიანები მაქსიმალურად შეეცადონ, დღის განმავლობაში თუ თავად არ აქვთ სახლში გაგრილების საშუალება, გარეთ გამოსვლა თუ უწევთ, ბევრია მაღაზია, აფთიაქი, ბანკი, სადაც კონდიცირებაა, იქ შეაფარონ ხოლმე თავი გასაგრილებლად.

უნდა მივიღოთ დიდი რაოდენობით სითხე. ნუ დაველოდებით, როდის მოგვწყურდება, ისე დავლიოთ ხოლმე სითხე. ასევე მოვერიდოთ მზის გულზე ყოფნას. მაქსიმალურად თავი აარიდონ ქუჩაში სიარულს 11-დან 5 საათამდე, ასევე – მძიმე ფიზიკურ დატვირთვას. მაქსიმალურად ვეცადოთ, სახლში შევინარჩუნოთ 26-28 გრადუსი, ღამით კი – 22-24 გრადუსი. ჩამოვხუროთ დარაბები და არ შემოვუშვათ სიცხე სახლში.

***– რისკის ჯგუფებში რა კატეგორიის ადამიანები შედიან, ვისაც ყველაზე მეტი სიფრთხილე მართებს ასეთ გაუსაძლის სიცხეში?***

– ბავშვები, პატარები, განსაკუთრებით კი – ჩვილები, ასევე მოხუცები და ისინი, ვისაც გულსისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს.

***– ითქვა ისიც, რომ როდესაც ასეთი მაღალი ტემპერატურაა, სამუშაო დღე უქმედ უნდა გამოცხადდეს.***

– ასე არ არის. კანონმდებლობით ასეა, სამუშაო ადგილას, ანუ დახურულ შენობაში თუ როგორი უნდა იყოს ტემპერატურა. ეს გარე ტემპერატურას არ ეხება.

***– ამ დღეებში ყველაზე რთულ სიტუაციაში აბიტურიენტები აღმოჩნდნენ, რომლებიც ეროვნულ გამოცდებს აბარებენ და მათი მშობლები, რომლებიც თაკარა მზეში ელოდებიან. მათთვის თუ გაქვთ რამე რჩევები?***

– განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვით. მიიღონ დიდი რაოდენობით სითხე და მაქსიმალურად ეცადონ, ჩრდილში შეაფარონ თავი.

***– ცხელ ზაფხულში რა ინფექციური დაავადებების გავრცელებაა მოსალოდნელი? ამბობენ, რომ გასულ დღეებში საკმაოდ ცუდი ვირუსი იყო გავრცელებული. ამაზე რას გვეტყვით?***

– არა, საგანგაშო არაფერი ყოფილა. ყველა სეზონს აქვს თავისი დაავადებები, ზამთარს თავისი და ზაფხულს – თავისი. ყველა სეზონი გამოირჩევა თავისი დაავადებებით. ზაფხული არის ნაწლავური ინფექციების პერიოდი. პროდუქტები თუ მაცივარში არ არის მოთავსებული, მიკრობები ძალიან სწრაფად მრავლდებიან. მიკრობებს უყვართ მაღალი ტემპერატურა. ჩვენ მიკრობებს ვზრდით 37 გრადუსზე, ანუ როდესაც გარემოში ამხელა ტემპერატურაა, მიკრობი ყოველ 20 წუთში მრავლდება. ამიტომ შეიძლება სუფრაზე დადო რამე სალათი და სუფრის თავში ვინც შეჭამს, არაფერი მოუვიდეს და სუფრის ბოლოს უკვე იმდენი მიკრობი დაგროვდეს, რომ ადამიანს ავად გახდის.

***– საკვების მიმართაც დიდი სიფრთხილეა საჭირო?***

– მთავარია, მაქსიმალურად მოვერიდოთ მალფუჭებად პროდუქტებს. მოსარიდებელია განსაკუთრებით რძის პროდუქტები, კრემიანი ნამცხვრები, სალათები, მაიონეზით შეკმაზული.

***– ასეთ დროს რამდენად კონტროლირებადია გარემოვაჭრეების თემა?***

– რთულია ყველაფრის გაკონტროლება. ასე სათითაოდ ვერც მყიდველს გააკონტროლებ და ვერც – გამყიდველს. ჩვენ თვითონ ხომ ვხედავთ, რა პირობებში იყიდება ესა თუ ის პროდუქტი! თუ ვხედავთ, რომ კარაქი ასფალტზე დნება, არ უნდა ვიყიდოთ. ეს არის ძალიან მარტივი გადასაწყვეტი, ნუ ვიყიდით და აღარ გაყიდიან.



**შეიძლება სუფრაზე დადო რამე სალათი და სუფრის თავში ვინც შეჭამს, არაფერი მოუვიდეს და სუფრის ბოლოს უკვე იმდენი მიკრობი დაგროვდეს, რომ ადამიანს ავად გახდის**

# „საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩვენ გვეყოლება შემთხვევითი პრეზიდენტი“



ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით „ბანკები და ფინანსები“ ბიზნესმენ თემურ ჭყონიას ესაუბრა. გთავაზობთ ინტერვიუდან ამონარიდს, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებს ეხება.

***– რა მოლოდინები გაქვთ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, თქვენი აზრით, რომელი პარტიის კანდიდატებს ექნებათ გამარჯვების ყველაზე მაღალი შანსი?***

– მე ნამდვილად არ ვარ პოლიტიკის სპეციალისტი, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნები აშკარად არასერიოზული გახდა. არჩევნებამდე დარჩა 3 თვე და ჩვენ საპრეზიდენტო კანდიდატებიც არ ვიცით. როგორც ჩანს, საქართველოში ვერ მოიძებნა ადამიანი, რომელსაც პოლიტიკური პარტიები საკუთარ კანდიდატად წამოაყენებდნენ. მით უმეტეს, ივლისი და აგვისტო არის ისეთი თვეები, როდესაც ადამიანები დასასვენებლად მიდიან და საარჩევნო პერიოდი არააქტიურია. ფაქტობრივად, ხალხს რჩება 1 თვე, რომ ჩამოყალიბდეს, თუ ვის უნდა მისცენ ხმა. ეს არის საკმაოდ არასერიოზული დამოკიდებულება. ამიტომ, პრეზიდენტი რომელიც აირჩევა იქნება შემთხვევითი პრეზიდენტი, ვინაიდან არ მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია და კანდიდატურებიც არ ვიცით.

– გარდა ამისა, ბოლო პერიოდის არჩევნებმა აჩვენა, რომ პარტიების ნდობა საზოგადოებაში საკმაოდ დაბალია. პოლიტიკოსი განიხილება საქართველოში, როგორც მიუღებელი თემა. განსაკუთრებით ახალგაზრდებშია ეს განცდა, ვინაიდან მოხდა მათი ინტეგრირება მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ. ისინი ხვდებიან, რომ განვითარებული ქვეყნის ლიდერები სხვანაირად მართავენ ქვეყანას და სხვანაირად იქცევიან, ამიტომაც არ მოსწონთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. არ მოსწონთ ჩვენი პოლიტიკური ელიტა შეხედულებებით, იდეებით, ქცევებითა და გამოხატვით. პოლიტიკოსებმა თვითონ გაიუბრალოეს საკუთარი თავი. ამიტომ ფაქტია, რომ პოლიტიკაში ბევრი რამეა შესაცვლელი და მისაბაძი ევროპის ქვეყნებისათვის, – აცხადებს ჭყონია.

**კომერსანტი**

# იზორიასა და ხელისუფლების სკანდალი — მილიონობით ლარი ჯაშუშისთვის

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული პეტრე დევრიშაძე, რომელიც დანაშაულს აღიარებდა და აღწერდა, როგორ გახდა რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტი, საქართველოს ბიუჯეტიდან მილიონებს იღებს.? როგორც ცნობილია, დევრიშაძის კომპანია ქართულ ჯარს ამარაგებს. ამ კომპანიამ კი ყველაზე დიდი შეკვეთები მას შემდეგ მიიღო, რაც თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია გახდა.

სტუდია მონიტორის გამომძიებელმა ჟურნალისტმა პეტრე დევრიშაძის ორი კომპანიის და საქართველოს ძალოვანი სამინისტროების კავშირი გამოიძია და ირკვევა, რომ ტენდერებში პეტრე დევრიშაძე ორი კომპანიით მონაწილეობს – მარჯიო ელ ტე დე და გლობალ თრეიდ გრუპი. ერთ დევრიშაძეს ეკუთვნის, მეორე – მის ცოლს, თუმცა იქაც დირექტორი ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული პირია. ჯამში ამ ორმა კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბოლო წლების განმავლობაში 4 მილიონ ლარზე მეტი მიიღო.

თავდაცვის სამინისტრომ რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში მსჯავრდებული ადამიანისაგან სანავიგაციო და მეტეოროლოგიური ხელსაწყოები 256,564.00 ლარად იყიდა. მისგან შეიძინა გასანათებელი მოწყობილობები სამხედროებისთვის 214,974.76 ლარად. ქართველი ჯარისკაცები ახლა დევრიშაძის კომპანიისგან ნაყიდი ზურგჩანთებით და კარვებით სარგებლობენ, მან მიჰყიდა თავდაცვის სამინისტროს მფრინავის უნიფორმები.

2010 წელს პეტრე დევრიშაძის საქმეს პროკურორი ზვიად ფხაკაძე იძიებდა. დღემდე ის საქართველოს პროკურატურის გახმაურებული საქმეების გამომძიებელია.

ალნიშნულთან დაკავშირებით კითხვებს არ პასუხობს თავდაცვის მინისტრი, ლევან იზორიამ.



მან მხოლოდ პრესმდივნის საშუალებით განაცხადა, რომ კანონი არ დაურღვევია.

თავდაცვის სამინისტროს გარდა, დევრიშაძის კომპანიისგან გიორგი გახარიას უწყებამ ვიდეორეგისტრატორები, სკუტერები და ნავები შეისყიდა, რაშიც სულ 173 ათასი ლარი გადაიხადა.

# მერიამ „სვეტს“ სამშენებლო ნებართვა მისცა



თბილისის მერიამ კომპანია „სვეტი დეველოპმენტის“ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი შეითანხმა. შესაბამისი ნებართვა მერიის არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. საუბარია ა.მირცხულავას ქუჩაზე 9-11-ში მდებარე №5, №6, №7, №8 ბლოკებზე.

როგორც „სვეტი დეველოპმენტის“ ხელმძღვანელმა გივი ჯიბლაძემ ფინანსურ პოლიციაში დაკითხვაზე მისვლის დროს ჟურნალისტებს განუცხადა, მას შემდეგ, რაც მერია კომპანიას სამშენებლო ნებართვებს მისცემდა, ისინი მშენებლობის განახლებას 72 საათში შეძლებდნენ.

მერიამ სამშენებლო ნებართვა უკვე გასცა, ჯერი ამჯერად კომპანიაზეა. შეასრულებს თუ არა პირობას „სვეტი დეველოპმენტი“ რამდენიმე დღეში გამოჩნდება.

როგორც „სვეტის“ დაზარალებულებთან შეხვედრაზე თბილისის მერმა განაცხადა, პარალელურ რეჟიმში „სვეტმა“ მირცხულავას ობიექტზე მდებარე სხვა ბლოკებზეც უნდა შეათანხმოს პროექტები და ასევე სამშენებლო სამუშაოები განაახლოს ჭყონდიდელისა და ნუცუბიძის ქუჩებზე მდებარე ობიექტებზე.

# კანონმდებლობით 32.5 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის პირობებში ყველა ტიპის სამუშაო უნდა შეიზღუდოს

მთავრობის დადგენილებით, დამტკიცებული საწარმოო რეგლამენტის მიხედვით, 32.5 გრადუს ცელსიუსზე მუშაობა მხოლოდ ერთი საათით არის დაშვებული და ისიც, მხოლოდ საოფისე პირობებში. საუბარია მთავრობის მიერ 2014 წლის 15 იანვარს მიღებულ N69 დადგენილებაზე და აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებზე.

როგორც პროფესიული კავშირების გაერთიანება განმარტავს, 32.5 გრადუსს ზემოთ ყველა ტიპის სამუშაო უნდა შეიზღუდოს სწორედ იმ დოკუმენტის მიხედვით, რომელიც საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს ამტკიცებს.

დოკუმენტის თანახმად, სიცხეში მუშაობა ასეთი ინტენსივობითაა დაშვებული: იმ



საწარმოებში, სადაც ენერგოდანახარჯების ინტენსივობა 120 კილოკალორიამდეა საათში და გულისხმობს ჯდომით მდგომარეობაში მუშაობას, რომელსაც ახლავს უმნიშვნელო ფიზიკური დაძაბვა, მუშაობა 32 გრადუს ცელსიუსზე, დღეში მხოლოდ ორი საათის განმავლობაშია დაშვებული.

საუბარია რიგ პროფესიებზე მრეწველობაში, პოლიგრაფიულ და კავშირგაბმულობის საწარმოებში, მათ შორის კონტროლიორებზე და სხვადასხვა სახის საწარმოების ოსტატებზე. აღნიშნული პროფესიების წარმომადგენელთათვის 31.5 გრადუსს ზემოთ 3 საათია დაშვებული საოფისე და სხვა, შედარებით მსუბუქი დატვირთვის სამუშაოს შემსრულებლებისთვის.

# რომან კაკულია: „სავალუტო ფონდის ანგარიში ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სწორად მივდივართ“



სავალუტო ფონდის ანგარიში ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სწორად მივდივართ. საქართველო ყველა იმ მოთხოვნას ასრულებს, რომლებიც სავალუტო ფონდს აქვს, შესაბამისად, შედეგიც პოზიტიურია. ანგარიშში ხაზგასმულია ქვეყანაში მიღწეული პროგრესი და ამ მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯები.

ამის შესახებ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულიამ ჟურნალისტებთან განაცხადა.

– თუ ესე დასვამთ კითხვას: რას ნიშნავს სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში და მთავრობის შეცვლა რამდენიმე კვირის წინ, გიპასუხებთ, რომ სავალუტო ფონდის ანგარიში ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მართებული გზით მივდივართ, ხოლო სამთავრობო ცვლილებები ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სვლის ტემპები არ იყო საკმარისი საზოგადოების მოლოდინის დასაკმაყოფილებლად. საქართველო ყველა იმ მოთხოვნას ასრულებს, რაც სავალუტო ფონდს აქვს, შესაბამისად, შედეგიც პოზიტიურია.

რომან კაკულიას თქმით, მამუკა ბახტაძემ საკუთარი ინიციატივებით მოახერხა კონცენტრირება ყველაზე მოწყვლად სეგმენტზე – საზოგადოების იმ პრობლემებზე, რომლებიც ადეკვატურ რეაქციებს საჭიროებენ. კვირიკაშვილის მთავრობამ კი, ბევრი ფუნდამენტალური აგური დადო ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობის გზაზე და სავალუტო ფონდის ანგარიშიც, სწორედ, ამის დასტურია.

– პოზიტიურად ვარ განწყობილი, იმიტომ რომ უკვე გადადგმული ნაბიჯები გრძელვადიან პერსპექტივაში გაამართლებს, ხოლო, გამოწვევა, რომელსაც ერქვა ყველაზე მოწყვლად თემებზე კონცენტრირება, მკაფიოდ აისახა ახალი პრემიერის განცხადებებში. კონცენტრირება მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ისაუბრო პრობლემაზე, საჭიროა ინსტრუმენტების მოფიქრება ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად. საჭირო ინსტრუმენტების შექმნა რთულია. რამდენიმე კომპონენტია გასათვალისწინებელი: რეგიონებში განათლება არის დაბალი ხარისხის, მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის ამ ადამიანების პრიორიტეტები, ძალიან უჭირთ ბანკებთან ურთიერთობა და აქაც რთულია ახალი ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც დაეხმარება მეწარმეს. ბახტაძის განცხადებებში ეს კომპონენტები ჩანს და ამიტომ ვარ ოპტიმისტურად განწყობილი, რომ მისი ხედვა მართებულია. იმედი მაქვს, ყველა ერთად დავანახებთ საზოგადოებას განვითარების ტენდენციას.

მთავარია, არ შევქმნათ გაზვიადებული მოლოდინები და დავანახოთ განვითარების ტენდენცია საზოგადოებას. როდესაც ტენდენცია არის შეუქცევადი და სწორი, მაშინ ყველა გაგებით მოეკიდება რეფორმებსაც. თუ საზოგადოებას ობიექტურ რეალობას ვაჩვენებთ, ჩემი აზრით, მხარდაჭერაც მეტი გვექნება.

# კახელები, შესაძლოა, მოსავლის გარეშე დარჩნენ




კახეთში ხორბლისა და ქერის მოსავალი ფუჭდება. ადგილობრივი გლეხები ამბობენ, რომ ტექნიკის არარსებობის გამო მოსავალს ვერ იღებენ. მთავრობის მიერ სოფლებში ჩაყვანილ კომბაინებს მხოლოდ რამდენიმე საათით ან საერთოდ ვერ ქირაობენ.

გლეხები ამბობენ, რომ შპს მექანიზატორის კომბაინებს პირველ რიგში იმ ნაკვეთებში უშვებენ, რომლებიც თანამდებობის პირებს ეკუთვნით.

გაფუჭებული მოსავლის გამო, კახელი გლეხები ზარალზე საუბრობენ. ადგილობრივების თქმით, ისედაც არასაკმარისი ტექნიკა შედარებით მცირე მასშტაბების ყანებზე არასწორად ნაწილდება.

ტექნიკასთან დაკავშირებულ ხარვეზს ამინდებსა და დათესილი მინდვრების გაზრდილ რაოდენობას უკავშირებენ დედოფლისწყაროს მერიაში, შპს მექანიზატორში კი განმარტავენ, რომ 30 კომბაინის დამატების მიუხედავად, ყველა სოფელში ერთდროულად მუშაობას მაინც ვერ ახერხებენ.

კახეთის ოპოზიციაში ტექნიკის გაზრდილ რაოდენობაზე ინფორმაცია არ აქვთ.

ნაციონალურ მოძრაობაში განმარტავენ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოთხოვილ ოფიციალურ დოკუმენტაციაში ახალ შესყიდვებზე არაფერია ნათქვამი. გიორგი ბოტკოველის მტკიცებით, ქერისა და ხორბლის მოსავალი კომბაინების ფერმერებთან შერჩევითად მუშაობის გამო ფუჭდება.

**კომერსანტი**

# 1 ივლისს 14-16 წლის აირბალონიან ავტომობილებს ტექდათვალიერების გავლის ვადა ეწურებათ

2 ივლისიდან აირბალონებზე მომუშავე ავტომობილების ნაწილს ტექდათვალიერების გავლის ვადა ეწურებათ. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლებს ტექდათვალიერების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ექნებათ, 100 ლარით დაჯარიმდებიან.

რეგლამენტის მიხედვით, 17 და მეტი წლის აირბალონებზე მომუშავე მანქანებს ტექდათვალიერების ვალდებულება 2018 წლის 1 იანვრამდე ჰქონდათ. ხოლო 14-16 წლის ავტომობილებმა ტექდათვალიერება 2018 წლის პირველ ივლისამდე უნდა გაიარონ.

11-13 წლის ავტომობილებისთვის ტექდათვალიერების ბოლო ვადად 2019 წლის პირველი იანვარია განსაზღვრული, ხოლო ყველაზე ახალი 1-10 წლის ავტომობილებისთვის საბოლოო ვადა 2019 წლის პირველი ივლისია.



ცნობისთვის, ავტომობილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე დადგენილება მთავრობამ ჯერ კიდევ 2014 წელს მიიღო, რომლის ამოქმედების ვადა რამდენჯერმე შეიცვალა.

აირბალონების პერიოდული შემოწმება ხორციელდება შემდეგი პერიოდულობით:

ა) ნახშირბადიანი ფოლადისგან ან ლითონპლასტიკისგან დამზადებული აირბალონების პერიოდული შემოწმება – სამ წელიწადში ერთხელ;

ბ) ლეგირებული ფოლადისგან დამზადებული აირბალონების პერიოდული შემოწმება – ხუთ წელიწადში ერთხელ.

3. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლის დოკუმენტაციით არ ირკვევა აირბალონის მასალის შემადგენლობა, ასეთი ბალონის შემოწმება სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ.

4. აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების შემოწმება სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ.

**ბპნ**

# საგანგაშო სტატისტიკა — 6 თვეში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 24 მუშა დაიღუპა



ბოლო 48 საათის განმავლობაში ორი მუშა დაიღუპა. უბედური შემთხვევები ჭიათურასა და გუდაურში გარდაცვლილთა სამუშაო ადგილზე მოხდა. საგანგაშოა ბოლო 6 თვის მონაცემები. ამ პერიოდში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არაზუსტი სტატისტიკით, მინიმუმ, 24 ადამიანია დაღუპული, კიდევ 18 სიკვდილს გადაურჩა, თუმცა სხვადასხვა დაზიანებით კლინიკაში აღმოჩნდა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ დარკვეთში 32 წლის ხვიჩა გველესიანი ქვიშის კარიერზე მუშაობისას დაიღუპა. შემთხვევა იმ დროს მოხდა, როცა ახალგაზრდა მამაკაცი ტრაქტორით კლდის ახალი ქანის მოჭრას ცდილობდა. ქვიშის მასა ჩამოიშალა და მძიმე ტექნიკა მოიყოლა. მემანქანე ადგილზე გარდაიცვალა. ქვიშაში მოყოლილი ტრაქტორიდან ხვიჩა გველესიანის ცხედარი მაშველებმა ამოიყვანეს.

გველესიანმა კარიერზე მუშაობა 2 კვირის წინ დაიწყო. ქვიშის კარიერზე სამუშაოებს კომპანია „დარკვეთი 2009“ აწარმოებს. კომპანიის მენეჯერის განცხადებით, შრომის უსაფრთხოების ნორმები ადგილზე დაცული იყო.

36 წლის ხვიჩა ტაბატაძე გუდაურში ტვირთამწის დემონტაჟის დროს დაიღუპა. ტექნიკის მიერ აწეული ტვირთი ჩამოვარდა და მუშას დაეცა. ახალგაზრდა მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული კომპანია „ფერი“ მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში ახორციელებს.

ტაბატაძის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ობიექტზე დარღვეული იყო შრომის უსაფრთხოების ნორმები. კომპანიის წარმომადგენლები დღეს მედიასთან არ გამოჩენილან.

სამოქალაქო სექტორი ყველა დაღუპულ მუშაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს და შრომის უსაფრთხოების ახალი კოდექსის ძალაში შესვლას მოითხოვს.

– საქართველოში არ გვაქვს უსაფრთხოების კონტროლის ეფექტური მექანიზმი და მეორე მხრივ, თავად დამსაქმებლები არ უზრუნველყოფენ მინიმალურ სტანდარტებს, რომელიც უნდა იყოს დაცული შრომით ადგილებზე, – აცხადებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე ნონა ქურდოვანიძე.

შრომის უსაფრთხოების შესახებ ახალი კანონი პარლამენტმა რამდენიმე თვის წინ მიიღო, თუმცა ძალაში ამ დრომდე არ შესულა და ჯერჯერობით უცნობია, როდიდან ამოქმედდება.

**რუსთავი 2**

# თბილისში მოსახლეობის 34% თამბაქოს მომხმარებელია




ACT-ის მიერ 2018 წლის ივნისში თბილისში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის 34% თამბაქოს მომხმარებელია. მათ შორის, 29% თამბაქოს რეგულარულად ეწევა, 5% კი პერიოდულად.

2017 წლის გაზაფხულზე ჩატარებული იმავე კვლევის შედეგების მიხედვით, თამბაქოს ზრდასრული თბილისელების 31% მოიხმარდა, რაც მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ამ თვალსაზრისით სიტუაცია არ შეცვლილა. თამბაქოს მოხმარების მაჩვენებელი კაცებში (58%) გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალებში (16%), ამასთან, ყველაზე აქტიურად თამბაქოს 35-54 წლის მოქალაქეები მოიხმარენ.

მწეველთა უმრავლესობა (58%) რეგულარულად 15 ღერზე მეტ სიგარეტს ეწევა დღის განმავლობაში და აცხადებს, რომ საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილებში თამბაქოს მოხმარების აკრძალვას გავლენა არ მოუხდენია მოწევის ინტენსივობაზე. გენდერული თვალსაზრისით, ამ შემთხვევაშიც, დიდი განსხვავება გამოვლინდა; კაცების 68% ეწევა 15 ღერზე მეტ სიგარეტს დღის განმავლობაში, მაშინ, როცა ქალების მხოლოდ 29% მოიხმარს იგივე რაოდენობას.

თბილისელების 63% ფიქრობს, რომ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონი ვერ შეამცირებს თამბაქოს მოხმარებას, თუმცა იგივე რაოდენობა (64%) დადებითად აფასებს ახალ რეგულაციებს.

კვლევა ჩატარდა თბილისის მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის გზით 400 ზრდასრულ თბილისის მოსახლეს შორის, 2018 წლის 2-3 ივნისის პერიოდში. მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება საშუალოდ 3.0%-6.5%-იან შუალედში მერყეობს.

# პოლიციელებს დღეიდან ხელფასი 250 ლარით გაეზრდებათ

პოლიციელებს დღეიდან ხელფასი 250 ლარით გაეზრდებათ. ლაპარაკია 13.200 პოლიციელის ხელფასის მატებაზე. ამის შესახებ 19 ივნისს პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა გიორგი გახარიამ განაცხადა.

– ჩვენ კარგად გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული პოლიციელის სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური გარანტიების კომპონენტი. ამიტომ დღეს, ამ ახალი ტრიბუნიდან შემიძლია გითხრათ, რომ პოლიციელებს ხელფასი გაეზრდებათ. ეს არის მინიმუმი, რაც შეგვეძლო და გავაკეთეთ დღეს.




ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ნაბიჯი, რომელზეც ვსაუბრობთ, დიდწილად არის იმ საბიუჯეტო ეკონომიის ხარჯზე გაკეთებული, რომელსაც მივაღწიეთ 6-7 თვის განმავლობაში. ჩვენ გვესმის, რომ პოლიციელისთვის, რომელიც ზრუნავს სხვა მოქალაქის უსაფრთხოებაზე, 250 ლარი დღევანდელი ხელფასიდან არ არის იდეალური, თუმცა ეს არის ის, რაც დღეს შევძელით. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას გავაგრძელებთ მომავალი წლიდანაც, – განაცხადა გიორგი გახარიამ რამდენიმე დღის წინ პარლამენტში გამოსვლისას.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ სოციალური გარანტიების ძირითადი კომპონენტი მხოლოდ ხელფასი არ არის.

**Imedinews**

# კახეთიდან ურეკში გასტროლებზე ჩასული 13 წლის მოცეკვავე თორნიკე პატრიასოვი ზღვაში დაიხრჩო



გუშინ, 1 ივლისს, ურეკში ზღვაში 13 წლის ბიჭი დაიხრჩო. უბედური შემთხვევა გამთენიისას მოხდა. მოზარდი სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევიდან ურეკში გასტროლებზე იყო ჩასული.

თორნიკე პატრიასოვი ხალხური ცეკვის ანსამბლ „ლაშქრულის" მოცეკვავე იყო. ანსამბლის სხვა წევრების თქმით, მოზარდი აღელვებულ ზღვაში ჩავიდა. მაშველებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, მაშველებმა ზღვის სანაპიროდან რამდენიმე ათეული მეტრიდან 10 და 16 წლის მოზარდები უვნებლად გამოიყვანეს. მაშველების მიერ ორი მოზარდის ზღვიდან გამოყვანის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მათთან ერთად იმყოფებოდა მესამე მოზარდიც. 13 წლის მოზარდის ცხედარი მაშველებმა მოგვიანებით აღმოაჩინეს. გადარჩენილი მოზარდების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გარდაცვლილი ბავშვის მშობლები ადასტურებენ, რომ 13 წლის მოზარდი პედაგოგის აკრძალვას არ დაემორჩილა და მეგობრებთან ერთად დილით ადრე ზღვაზე გაიპარა. წყალში 3 მოზარდი შევიდა, თუმცა მაშველებმა მათგან მხოლოდ ორის გადარჩენა შეძლეს.

სამივე მოზარდი ანსამბლ „ლაშქრულის" წევრია. „ლაშქრულის" წევრები ურეკში გამთენიისას ჩამოვიდნენ და მოზარდები სხვადასხვა ნომრებში გადანაწილდნენ.

– ყველა ბავშვმა იცოდა, რომ ხელმძღვანელის დაუკითხავად არსად არ უნდა გასულიყო. ჩამოვედით დილას ადრე. დაახლოებით 05:00 საათი იქნებოდა, ვისვენებდით. ველოდებოდით საუზმეს და საუზმის შემდეგ, კარგი ამინდის შემთხვევაში, უნდა ყველა გავსულიყავით ზღვაზე. ეს ბავშვი, როგორც აღმოჩნდა, მეგობართან ერთად დაუკითხავად გავიდა. გაიპარნენ და ასეთი ტრაგიკული შემთხვევა მოხდა, – განაცხადა ანსამბლის წევრმა გიორგი ქურდაშვილმა.

სამართალდამცველებმა უკვე გამოკითხეს ანსამბლის ხელმძღვანელი. მან პოლიციის შენობა უკომენტაროდ დატოვა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ოზურგეთში 78 წლის კაცმა 82 წლის და მოკლა




ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში ძმამ და მოკლა და საკუთარი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, ეზოში დამარხა.

82 წლის ქალის ცხედარი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად იპოვეს. ცხედარი, სავარაუდოდ, 2 კვირის დამარხულია.

78 წლის რ.თ.-მ 82 წლის დის დაკარგვის შესახებ პოლიციას 2 დღის შემდეგ შეატყობინა. ქალის ცხედარი გუშინ აღმოაჩინეს. ის, სავარაუდოდ, თავში ჩაქუჩის ჩარტყმისგან გარდაიცვალა.

ბრალდებულის და რამდენიმე დღის განმავლობაში დაკარგული იყო. მეზობლებმა ეჭვის საფუძველზე მათი საცხოვრებელი სახლი და ეზო დაათვალიერეს, რის შედეგადაც ეზოში დამარხული ქალი ნახეს.

გურია ნიუსის ცნობით, ქალი გათხოვილი არ ყოფილა და ძმასთან ერთად მამის დანატოვარ სახლში ცხოვრობდა. მის ძმას მეუღლე გარდაცვლილი ჰყავდა, შვილები კი უცხოეთში ცხოვრობენ.

საქმე 108-ე მუხლით აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# „მეზობლის კაცმა დაინახა, რომ ძაღლს ადამიანის კიდური მოჰქონდა"

## რა მოხდა ჭიათურაში



ჭიათურაში, სოფელ ნავარძეთში, 26 წლის ახალგაზრდა გარდაცვლილი იპოვეს. მისი ცხედარი მეზობლის ვენახში დამწვარი ნახეს.

მეზობლები ამბობენ, რომ ბიჭს თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ეძებდნენ, 30 ივნისს, დილით კი ვენახში გარდაცვლილი იპოვეს.

– მეზობლის კაცმა დაინახა, რომ ძაღლს ადამიანის კიდური მოჰქონდა. დაიწყეს ადგილების დათვალიერება და მიაგნეს ცხოველებისგან ნახევრად შეჭმულ ცხედარს. მორწმუნე ბიჭი იყო, რა მოხდა, ეს რატომ გააკეთა, არავინ იცის. კონფლიქტი არავისთან ჰქონია, – ამბობენ მეზობლები.

გარდაცვალებამდე ახალგაზრდამ ჭიათურაში ბოთლით საწვავი შეიძინა.

ოჯახმა მედიასთან კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

ფაქტზე საგამოძიებო მოქმედებები დაწყებულია. ასევე, დანიშნულია ცხედრის ექსპერტიზა და საქმეზე გამოძიების კვალიფიკაცია ამის შემდეგ გაირკვევა.

# ავარია ოზურგეთში — მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც გოგონა მართავდა, ამოტრიალდა



გუშინ, 1 ივლისს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ოზურგეთში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ორი საპირისპირო მიმართულებით მოძრავი მსუბუქი ავტომანქანა ერთმანეთს შეეჯახა.

„ნიუპოსტის" კორესპონდენტის ინფორმაციით, ძლიერი დარტყმის შედეგად შავი ფერის ავტომანქანა, რომელშიც ახალგაზრდა გოგონა იმყოფებოდა, ბორდიურს შეეჯახა და ამოტრიალდა.

შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ადგილზე იმყოფებოდნენ სასწრაფო დახმარების ბრიგადა და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები.

# გომბორზე მიკროავტობუსი ამობრუნდა



## დაშავდა 25 ბელორუსი ტურისტი

გუშინ, 1 ივლისს, ავტოავარია მოხდა გომბორის უღელტეხილზე, სადაც მიკროავტობუსი, რომელსაც ბელორუსი ტურისტები თბილისიდან თელავის მიმართულებით გადაჰყავდა, ამობრუნდა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ განაცხადა, 25-მდე ტურისტი თელავში ორ საავადმყოფოშია გადანაწილებული და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა.

– არც ერთი ტურისტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. არიან ბელორუსიის მოქალაქეები და კახეთის დასათვალიერებლად მოდიოდნენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა მოხდა, არ ვიცი, თუმცა სამწუხაროა, რომ მძღოლები ხშირად არ ითვალისწინებენ გომბორის გზის საფრთხეებს და საგზაო ნიშნებს არ ემორჩილებიან, – აღნიშნა აკა საჩიშვილმა.

ერთ-ერთ მგზავრს ოპერაცია ესაჭიროება.

– ერთი არის საოპერაციო, არის ლავიწის ცდომილი მოტეხილობა და საოპერაციოა. არის რამდენიმე თავის ტვინის შერყევით პაციენტი. დანარჩენები – ზედაპირული ტრავმებით, ექსკორიაციებით, მცირე ზომის ჭრილობებით, – განაცხადა ექიმმა მაია მრევლიშვილმა.

გომბორის გზაზე, სოფელ თეთრწყლებთან, „სუზუკის" მარკის ავტობუსი იმ ადგილას ამობრუნდა, სადაც რამდენიმე კვირის წინ ყვარლისკენ ექსკურსიაზე მიმავალი მიკროავტობუსი გადავარდა.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ხაშურში 35 წლის ბაკურიანელი მამაკაცი მოკლეს

მკვლელობა მოხდა ხაშურში. „ნიუპოსტის" კორესპონდენტის ცნობით, მოკლულია 35 წლამდე მამაკაცი და დაჭრილია 1 ახალგაზრდა. დაჭრილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ხაშურის საავადმყოფოში გადაიყვანა, შემდეგ კი მისი გადმოყვანა თბილისში მოხდა.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

მოკლულიც და დაჭრილიც დაბა ბაკურიანიდან არიან და მათ შელაპარაკება ხაშურელებთან მოუვიდათ.

პოლიციამ მკვლელობაში ბრალდებული ხაშურში დააკავა. ის არის 1988 წელს დაბადებული გ.ლ.

მის მიერ ჩადენილი დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 29 ივნისს ქ. ხაშურში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცივი იარაღით სხეულზე დაზიანებები მიაყენა ორ პირს: 1986 წელს დაბადებულ ზ.ხ.-ს და 1984 წელს დაბადებულ ო.თ.-ს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ზ.ხ. და ო.თ. სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანა. გაწეული სამედიცინო დახმარების მიუხედავად, 1984 წელს დაბადებული ო.თ.-ს გადარჩენა ვერ მოხერხდა, ის ოპერაციის დროს გარდაიცვალა.

გამოძიება ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

# თბილისის ერთ-ერთ აუზზე ახალგაზრდა დაჭრეს




თბილისის ერთ-ერთ აუზზე ახალგაზრდა, სავარაუდოდ, ცივი იარაღით დაჭრეს.

რუსთავი 2-ის ინფორმაციით, ახალგაზრდას დაზიანებები მუცლისა და კისრის არეში აქვს მიყენებული. მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა და ამ დროისთვის მისი მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს და 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

# შიდა ქართლსა და სამეგრელოში მომხდარი ქურდობის ბრალდებით 3 პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, შიდა ქართლსა და სამეგრელოში ბოლო პერიოდში მომხდარი ქურდობის ფაქტები გახსნეს და ქურდობის ბრალდებით სამი პირი დააკავეს.

1997 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.ა., ქურდობის ბრალდებით გორში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ გორში, მეზობლის საცხოვრებელ ბინაში, ამავე ბინაში მცხოვრები არასრულწლოვნის მიერ ელექტრომრიცხველის ყუთში დამალული გასაღების გამოყენებით, უკანონოდ შეაღწია, საიდანაც საყოფაცხოვრებო ნივთები და ტელევიზორი მოიპარა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა მოპარული ტელევიზორი და ე.წ. რესივერი გორში, ერთ-ერთ ლომბარდიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს, ხოლო ალუმინის ჭურჭელი სოფელ მეჯვრისხევში, ფერადი ლითონების ჩამბარებელ პუნქტში აღმოაჩინეს.

გამოძიება ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

ქურდობის ბრალდებით დაკავებულია კიდევ ორი პირი. სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოს და სენაკის დაცვის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული ი.კ. და 1993 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ბ.ჯ. სენაკში დააკავეს.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მაღაზია „ელიტ ელექტრონიქსიდან" 10 მობილური ტელეფონი მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

# საფრანგეთის ციხიდან პატიმარი რედუან ფაიდი ვერტმფრენით გაიქცა



საფრანგეთში, პარიზთან ახლოს მდებარე ციხიდან ორგანიზებული დანაშაულისთვის დაპატიმრებული ცნობილი კრიმინალი, 46 წლის რედუან ფაიდი ვერტმფრენით გაიქცა.

მას გაქცევაში სამი შეიარაღებული ადამიანი დაეხმარა.

ფაიდი ციხიდან გუშინ, 1 ივლისს, დილით გაიქცა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. ფაიდმა საპატიმრო დაწესებულება იმ ვერტმფრენით დატოვა, რომელიც ბელგიაშია დარეგისტრირებული.

მოგვიანებით აღნიშნული ვერტმფრენი საფრანგეთის სხვა ქალაქში დამწვარი აღმოაჩინეს.

რედუან ფაიდი საფრანგეთის მკვიდრი, ალჟირული წარმოშობის კრიმინალია. მას ბრალად ედება არაერთი ძარცვა. ციხის ადმინისტრაციის ცნობით, დაკავების შემდეგ ის იზოლირებულ საკანში იყო მოთავსებული.

1990-იანი წლებიდან მან ჟან-კლუდ ბისელთან ერთად შექმნა შეიარაღებული დაჯგუფება და პარიზში ძვირფასეულობას იპარავდა, ქურდავდა ბანკებსაც.

2001 წელს შეიარაღებული ძარცვისთვის 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა 10 წელიწადში გაათავისუფლეს.

2009 წელს მან დაწერა წიგნი „დიდ ბანდიტთა ქალაქი“, სადაც კრიმინალთა ცხოვრების შესახებ წერდა.

2011 წელს, გათავისუფლების შემდეგ, ძარცვისას პოლიციელი ქალი მოკლა. 2013 წელს მასზე მსოფლიოს მასშტაბით განსაკუთრებული ძებნა იყო გამოცხადებული.

დაკავების შემდეგ ფაიდს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იმავე წელს მან ციხეში ბუნტი მოაწყო, რომლის დროსაც ასაფეთქებელი მოწყობილობა გამოიყენა, დაცვის 5 თანამშრომელი მძევლად აიყვანა და ციხიდან გაიქცა, თუმცა 6 კვირაში ისევ დააკავეს.

# ტრამპი: აშშ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციიდან არ გადის!



აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის სიტყვებმა, რომ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში ამერიკას უსამართლოდ ექცევიან, ბევრი აღაშფოთა.

ამერიკულ მედიაში გაჩნდა სტატიები, რომელთა ავტორებიც ამტკიცებენ, რომ ტრამპს აშშ-ის ვტო-დან გაყვანა სურს. ქვეყანაშიც ანტიტრამპული საპროტესტო გამოსვლები დაიწყო.

ამის შემდეგ ტრამპმა განაცხადა:

– აშშ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციიდან გასვლას არ აპირებს!

ამავე დროს, პრეზიდენტმა კვლავ გაიმეორა, რომ ვტო-ში ამერიკას უსამართლოდ ექცევიან და ამასთან შეგუება გამორიცხულია.

– მე, როგორც პრეზიდენტი, მოვალე ვარ აღვნიშნო, რომ ვტო ჩემს ქვეყანას უსამართლოდ ექცევა, – ამბობს ტრამპი.

# ამერიკელი სენატორები რუსეთში ჩასვლას აპირებენ



ამერიკელ სენატორთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ჯონ კენედი, სტივ დენისი, ჯონ ჰოვენი, რუსეთში ჩავა.

ისინი მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგს მოინახულებენ. დაგეგმილია შეხვედრები პრეზიდენტ პუტინთან და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან.

ამერიკელი სენატორების უკანასკნელი ვოიაჟი რუსეთში 2016 წელს შედგა. მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევის შესახებ, ვიზიტები შეწყდა.

ახლა პრეზიდენტ ტრამპის ინიციატივით რუსეთთან დაახლოების მორიგი პროცესი დაიწყო. ამერიკელი სენატორების რუსული ვოიაჟებიც განახლდა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.

მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**

**მე–10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ინდოეთში, ბიზნესმენის სახლში, 11 ადამიანის ცხედარი იპოვეს



ინდოეთში, ნიუ დელიში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, პოლიციამ ერთი ოჯახის 11 წევრის ცხედარი აღმოაჩინა.

სახლი, სადაც ცხედრები ნახეს, ბიზნესმენს ეკუთვნის, რომელიც რძის მაღაზიებისა და საამქროს მფლობელი იყო.

ცხედრები მეზობელმა აღმოაჩინა. ის შევიდა სახლში, რომლის კარიც ღია იყო. მან შემთხვევის შესახებ პოლიციას შეატყობინა.

ამ დროისთვის მიმდინარეობს იმის გარკვევა, ეს თვითმკვლელობა იყო თუ მკვლელობა.

გარდაცვლილთა შორის 4 მამაკაცი, 3 ქალი და 4 გოგონაა. მათ სიკვდილის წინ არავითარი წერილი არ დაუტოვებიათ.

# აშშ-ის ელჩი ესტონეთში გადადგა



ტრამპის გამოთქმებს ხშირად არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვება ხოლმე. ეს თანაბრად შეეხება როგორც ევროპას, ისე ამერიკას. ასე მაგალითად, პრეზიდენტის აგდებულმა სიტყვებმა ევროკავშირის შესახებ ბევრი ამერიკელი აღაშფოთა – ტრამპმა გამოაცხადა, რომ ევროკავშირი იმიტომ შეიქმნა, რათა ამერიკელების ფულის ყულაბაში ხელი აფათუროს.

აშშ-ის პრეზიდენტმა აგდებული გამოთქმები არც ნატოს მიმართ დაიშურა.

ტრამპის ამ სიტყვებმა ბევრი ამერიკელი დიპლომატის აღშფოთება გამოიწვია. მათ შორისაა აშშ-ის ელჩი ესტონეთში ჯეიმს მელვილ-უმცროსიც. მან პროტესტის ნიშნად თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გამოაცხადა.

– ჩვენმა პრეზიდენტმა ამერიკის სტრატეგიული მოკავშირეები აგდებულად მოიხსენია. ასეთ პირობებში არ მსურს და არც შემიძლია მუშაობა, – თქვა ელჩმა.

# მოსკოვში დააკავეს მამაკაცი, რომელმაც მაღაზიაში მძევალი აიყვანა



გუშინ, 1 ივლისს, მოსკოვში მამაკაცი დააკავეს, რომელსაც ერთ-ერთ მაღაზიაში მძევალი ჰყავდა აყვანილი.

მძევალი ქალი პოლიციამ გაათავისუფლა და საავადმყოფოში გადაიყვანა. მას სხეულზე უმნიშვნელო სახის დაზიანებები აღენიშნება, მამაკაცი კი, რომელიც მაღაზიაში შეიჭრა და მძევალი აიყვანა, დაკავებულია.

თვითმხილველების განცხადებით, მამაკაცი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

# ჩრდილოეთ კორეა ამერიკელებთან დადებულ შეთანხმებას არ ასრულებს?

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცნობით, ჩრდილოეთ კორეა თავისი ბირთვული პროგრამის განხორციელებას განაგრძობს.

მუშაობა ახლა უკვე საიდუმლო ობიექტებზე გრძელდება.

– კიმ ჩენ ინი ცდილობს, ობიექტები დაგვიმალოს და აშშ-სგან უფრო მეტ დათმობებს მიაღწიოს, – თვლის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# დელიში 4 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

ინდოეთის დედაქალაქ დელის ჩრდილოეთ ნაწილში 4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

ნგრევისა და დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

მიწისძვრის ეპიცენტრი დელიდან 45 კმ-ზე მდებარეობდა.

## კალეიდოსკოპი

# მეტროს მგზავრებმა ტუალეტის გამო იჩხუბეს



სინგაპურში მეტროს ტუალეტში ჩხუბისთვის ორი მამაკაცი დააპატიმრეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მათ ბოლო თავისუფალი პისუარი ვერ გაიყვეს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ, საღამოს საათებში მოხდა. მოჩხუბრების გასაშველებლად სამი პოლიციელის ჩარევა გახდა აუცილებელი. მომხდარის თვითმხილველმა, სახელად ლეონარდომ, განაცხადა, რომ 32 წლის და 29 წლის მამაკაცებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა, რომელშიც მათი თანმხლები ქალებიც ჩაერთვნენ.

მოგვიანებით ჩხუბმა ტუალეტიდან ქუჩაში გადაინაცვლა. იმ დროისთვის ტუალეტი ყველა იქ მყოფმა დატოვა და შიგნით შესვლას ვერავინ ბედავდა.

მოჩხუბარი მამაკაცები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით დააპატიმრეს. პოლიციამ აღნიშნული ინციდენტის გამოძიება დაიწყო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

**სხვადასხვა**

- დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.
- შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# დინამო ისევ მეორეა, სამტრედია კვარაცხელიამ დატოვა

**კოლხეთი-დინამო 3:6**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 მიხალიოვი (32), 1:1 თოთაძე (42), 1:2 ო.კიტეიშვილი (59), 1:3 ხარაბაძე (69), 2:3 კვასოვი (76), 3:3 იმნაძე (79), 3:4 ერგემლიძე (82), 3:5 ო.კიტეიშვილი (85), 3:6 ნინუა (89)

**კოლხეთი:** გურგენიძე, მახარაძე, გოგონაია, პონომარიოვი, დანილოვი, მიხალიოვი (არზიანი 77), კაბორე, იმნაძე, ჭეიშვილი (ჯიმშელეიშვილი 80), კვასოვი, გოგბერაშვილი (კაკულია 90)

**დინამო:** ბულისკერია, რუხაია, კობოური, თოთაძე, ხარაბაძე, ნინუა, დარცმელია (პ.კიტეიშვილი 89), ივანიშვილი (ბაბუნაძე 82), ო.კიტეიშვილი, კუცია (ერგემლიძე 67), ზივზივაძე

მატჩი ორივე გუნდმა დაბალ ტემპში დაიწყო, ამას ხელი მაღალმა სიცხემაც შეუწყო. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. მე-7 წუთზე ოთარ კიტეიშვილმა ზუსტი პასით ბუდუ ზივზივაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, თუმცა ბოლო მომენტში მასპინძელთა მცველმა ითამაშა ზუსტად. საპასუხოდ იაროსლავ კვასოვმა გაისროლა შორი მანძილიდან, მაგრამ არაზუსტად.

ანგარიში 32-ე წუთზე გაიხსნა: ილია მიხალიოვმა სტუმართა მცველების არაზუსტი თამაშით ისარგებლა და კოლხეთი დააწინაურა.

გაშვებული გოლის შემდეგ დინამოელებმა შეტევებს უმატეს და ორიოდე წუთში ოთარ კიტეიშვილის ტექნიკურად დარტყმული მცირედით ასცდა კოლხთა კარს. თბილისელთა მასირებულ შეტევებს შედეგი საბოლოოდ 42-ე წუთზე მოჰყვა. ლაშა თოთაძემ დაახლოებით 30 მეტრიდან თავისი საფირმო საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა და ტაიმიც 1:1 მორჩა.

მეორე ტაიმი გუნდებმა აქტიურად განაახლეს და გოლებიც ხვავრიელად გავიდა: ჯერ მასპინძლებს ჰქონდათ სწრაფი და სახიფათო შეტევა, საპასუხოდ კი ზივზივაძეს მართებდა ხელსაყრელი პოზიციიდან გატანა, მარა ოდნავ არაზუსტად ითამაშა. დედაქალაქელებმა სრულად მოიპოვეს სათამაშო უპირატესობა და მორიგი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს, დასწრებაზე ზივზივაძის დარტყმული გამოდგა არაზუსტი. 59-ე წუთზე კი ოთარ კიტეიშვილმა ითამაშა მარცხენა ფლანგზე ტექნიკურად, მიუახლოვდა საჯარიმოს ხაზს და ძლიერი დარტყმით დინამო დააწინაურა. გოლიდან ერთ წუთში ზივზივაძე გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბოლო მომენტში ველარ აჯობა მეტოქეს. 69-ე წუთზე დინამომ კიდევ ერთხელ აიღო მასპინძელთა კარი. თოთაძემ საკუთარი ნახევრიდან ზუსტი გადაცემით ლევან ხარაბაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა – 1:3.

თითქოს დინამოს იოლი გამარჯვება უნდა მიეთვალა, მაგრამ მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს. 76-ე წუთზე ზუსტად იაროსლავ კვასოვმა ითამაშა, ხოლო 3 წუთში ლუკა იმნაძის დარტყმულით ანგარიში 3:3 გახდა.

დინამოელები მასიურ შეტევებზე გადავიდნენ და 7 წუთში 3 გოლიც გაიტანეს. 82-ე წუთზე თავი შეცვლაზე შემოსულმა მიხეილ ერგემლიძემ გამოიჩინა. სამიოდე წუთში ოთარ კიტეიშვილმა ლამაზი გოლით დუბლი მიითვალა, ბოლო აკორდი კი ნიკა ნინუასი იყო.



**სიონი-ტორპედო 1:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 ბერიაშვილი (46) 1:1 წიქარიძე (85) 1:2 ქიმაძე (90)

**სიონი:** ზარქუა, მინდორაშვილი (უგულავა 90) , გურეშიძე, ნოზაძე, გიორბელიძე, ქიქავა, ხმალაძე, გაფრინდაშვილი, სიხარულია (მანაგაძე 55), მიქაბერიძე (კოშკაძე 87), ბერიაშვილი

**ტორპედო:** ქვილითაია, გრიგალაშვილი, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე, დოლიძე, კუხიანიძე, გიგაური (მამასახლისი 74), სარდალიშვილი (ტუღუში 75), ბოხაშვილი (წიქარიძე 46), კუტალია

ბოლნისის სიონმა საქართველოს ჩემპიონს, ქუთაისის ტორპედოს უმასპინძლა და საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში ბოლო წამებზე 1:2 დამარცხდა

მთელი მატჩის განმავლობაში თბილისში საკმაოდ ცხელოდა, რამაც მატჩის მიმდინარეობაზეც იქონია გავლენა. ფეხბურთელებს მოედანზე გადაადგილება უჭირდათ. ტორპედო ბურთს მეტად აკონტროლებდა, მაგრამ კახაბერ ჩხეტიანის გუნდს სახიფათო მომენტების შექმნას ვერ ახერხებდა. ბოლნისელები კი ძირითად კონტრშეტევებზე აკეთებდნენ აქცენტს.

გოლიც ასე გაიტანეს: 46-ე წუთზე მასპინძელთა სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ საჯარიმოს მისადგომებიდან გიორგი ბერიაშვილმა გაისროლა და დარტყმა მაქსიმე ქვილითაიასთვის აუღებელი აღმოჩნდა.

ბოლო წუთებში ქუთაისელებმა საკმაოდ მოუმატეს და ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხეს. გიორგი კუხიანიძის ზუსტი პასით მეკარესთან პირისპირ თენგიზ წიქარიძე დარჩა და ტორპედოს შემტევმა მიმდინარე სეზონში მეორე გოლი გაიტანა.

გოლის შემდეგ ქუთაისელებმა მატჩის მოსაგებადაც გაიწიეს. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროს გიორგი ქიმაძემ შეძლო გატანა და ზედიზედ 2 მარცხის შემდეგ რიონისპირელებს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუპოვა.

**რუსთავი-სამტრედია 2:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 მარცვალაძე (33), 1:1 გი (37პ), 2:1 მარცვალაძე (75)

**რუსთავი:** სეფიაშვილი, გეგეჭკორი, პაპავა, ცინცაძე, კვირკვია (ქავთარაძე 74), კვარაცხელია (კირკიტაძე 81), ფონიავა, კობახიძე, ციცქიშვილი (სიჭინავა 57), მარცვალაძე, კილასონია

**სამტრედია:** სტურუა, ჩაჩუა, ჯგერენაია, ფატიჩი, ულიანოვი, კერძევაძე, ახალაძე, ოლხოვი, გი, ხაბეიშვილი (კირკიტაძე 66), კუჭუხიძე

პირველი ნახევარი არცთუ მაღალ ტემპში წარიმართა. რუსთაველები ბურთს მეტად აკონტროლებდნენ და რამდენჯერმე მწვავედაც შეუტიეს, განსაკუთრებით ოთარ მარცვალაძე აქტიურობდა. მისმა აქტიურობამ შედეგი 33-ე წუთზე გამოიღო – ლევან გეგეჭკორის პასის შემდეგ, ერთი შეხებით დაურტყა ილია სტურუას და ანგარიში გახსნა.

სამტრედიამ გათანაბრება მალევე მოახერხა. ვარლამ კილასონიას საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, რისთვისაც შეხვედრის მთავარმა არბიტრმა ირაკლი კვირიკაშვილმა პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. 11-მეტრიანი ზუსტად ინტერს გიმ შეასრულა.

მეორე ნახევარში რუსთაველებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს. სამტრედიელებს თამაშის მეტოქის ნახევარზე გადატანა და გააზრებული შეტევის განხორციელება უჭირდათ. მატჩის საბოლოო ანგარიში 75-ე წუთზე გამოიღო: გიორგი პაპავას პასის შემდეგ, ოთარ მარცვალაძემ საჯარიმოს მისადგომებიდან გაისროლა და დუბლი გაიფორმა.

ბოლოს, სამტრედიელებმა შეუტიეს და მცირე შტურმიც მოუწყვეს მეტოქეს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

მატჩის შემდეგ გუნდიდან წასვლა გამოაცხადა სამტრედიელთა მწვრთნელმა ბადრი კვარაცხელიამ, რომელიც რამდენიმე ტურის წინ დაინიშნა იმერელთა თავკაცად.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 17 | 13 | 1 | 3 | 32-13 | 40 |
| 2.დინამო | 17 | 11 | 2 | 4 | 33-17 | 35 |
| 3.დილა | 17 | 9 | 7 | 1 | 36-19 | 34 |
| 4.ჩიხურა | 17 | 8 | 4 | 5 | 24-16 | 28 |
| 5.ტორპედო | 17 | 7 | 3 | 7 | 23-18 | 24 |
| 6.რუსთავი | 17 | 5 | 5 | 7 | 17-22 | 20 |
| 7.ლოკომოტივი | 17 | 5 | 3 | 9 | 19-29 | 18 |
| 8.კოლხეთი | 17 | 3 | 5 | 9 | 19-40 | 14 |
| 9.სიონი | 17 | 3 | 4 | 10 | 15-29 | 13 |
| 10.სამტრედია | 17 | 1 | 6 | 10 | 10-25 | 9 |

# მსოფლიოს ორი დიდი ფეხბურთელი მუნდიალს ნაადრევად დაემშვიდობა

**საფრანგეთი-არგენტინა 4:3**

**ყაზანი. ყაზანი არენა**

1:0 გრიზმანი (13პ) 1:1 დი მარია (41) 1:2 მერკადო (48) 2:2 პავარი (58) 3:2, 4:2 მბაპე (63, 68), 4:3 აგუერო (90)

**საფრანგეთი:** ლორისი, პავარდი, ვარანი, უმტიტი, ერნანდესი, პოგბა, კანტე, მატუიდი (ტოლისო 75), გრიზმანი (ფეკირი 83), ჟირუ, მბაპე (ტუვინი 89)

**არგენტინა:** არმანი, მერკადო, ტალიაფიკო, მასკერანო, მარკოს როხო (ფასიო 56), ოტამენდი, ბანეგა, დი მარია, პერეზი (აგუერო 65), პავონი (მესა 75), მესი

მესი და არგენტინა მსოფლიო ჩემპიონატს დაემშვიდობნენ. არადა, სამხრეთამერიკელებმა ჯგუფურ ეტაპზე უკეთესი შეხვედრა ჩაატარეს და ალბათ, კიდევ უფრო მოუმატებდნენ, მერვედფინალში საფრანგეთს რომ არ გადაჰყროდნენ, რომელიც ამ ტურნირის უმთავრეს ფავორიტად მიგვაჩნია. ეს შეხვედრა უფრო გვიან სტადიას იმსახურებდა, მაგრამ ჯგუფურ ეტაპზე არგენტინელთა ცუდად გარჯამ ასე მოიტანა და ახლა საქმე სანანებლად აქვთ.

დრამატული მატჩი გამოვიდა არგენტინელებისთვის: ჯერ აგებდნენ, შემდეგ წინ გავიდნენ, ისევ ჩამორჩნენ, უკვე 2 ბურთით, სხვაობა შეამცირეს, ბოლოს მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ...

არგენტინას „ქილერად" 19 წლის კილიან მბაპე მოევლინა, რომელიც მსოფლიოს ვარსკვლავებმა ვერ გააჩერეს. საოცრებებს ჩადიოდა ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლის ფონზე სხვა დანარჩენები რიგით ფეხბურთელებად მოჩანდნენ. თვით ლეო მესიც კი...

ამ მატჩმა გამოაჩინა, რომ ფრანგებს დიდი პოტენციალი აქვთ და თამამად შეუძლიათ, 1998 წლის მიღწევა გაიმეორონ, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. მართალია, არგენტინაც არ იყო ჩვეულ ფორმაში, მაგრამ ეს ფრანგების თამაშს სულაც არ აკნინებს. თუმცა, ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე უფრო რთული მეტოქეებიც ჩანს.



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **კილიან მბაპე**

ზემოთ ბევრი დავწერე ახალგაზრდა ფეხბურთელზე, დამატებით რომ ორი გოლი გაიტანა და პენალტი „აიკიდა".

**ურუგვაი-პორტუგალია 2:1**

**სოჭი. ფიშტი**

1:0 კავანი (7) 1:1 პეპე (55) 2:1 კავანი (62)

**ურუგვაი:** მუსლერა, კასერესი, ხიმენესი, გოდინი, ლაქსალტი, ნანდესი (81. სანჩესი), ტორეირა, ვესინო, ბენტანკური (62. როდრიგესი), სუარესი, კავანი (63. სტუანი).

**პორტუგალია:** რუი პატრისიუ, რიკარდუ, პეპე, ფონტე, რაფაელი, უილიამი, ადრიენი (66. კუარეჟმა), ბერნარდო, ჟოაო მარიუ (84. ფერნანდესი), რონალდუ, გუედეში (73. ანდრე სილვა)

მესის კვალს გაუყვა კიდევ ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ. ორივე მათგანისთვის მერვედფინალი გადაულახავი აღმოჩნდა.

რონალდუს რისხვად ედინსონ კავანი მოევლინა, რომელმაც დუბლი მიითვალა. ერთია, კავანის ამ გოლების გატანა გაუჭირდებოდა, გუნდში შესანიშნავი პარტნიორი რომ არ ჰყავდეს ლუის სუარესის სახით.

კავანის გოლებს შორის პეპემაც გაიტანა და პორტუგალიას იმედი ჩაუსახა, მაგრამ ეს სიხარული მცირე ხნით გაგრძელდა.

იმედი რონალდუ იყო, მაგრამ პირინეელთა კაპიტანმა ვერაფერი გააწყო მწყობრად მოთამაშე ურუგვაის დაცვის წინააღმდეგ.

ურუგვაი მეოთხედფინალში საფრანგეთზე გავიდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ედინსონ კავანი**

სუარეს-კავანის დუეტი შეუდარებელი იყო. ერთი პასებს არიგებდა, მეორეს გაჰქონდა. ჩვენ უფრო გამტანი გამოვარჩიეთ, რადგან მეოთხედფინალის საგზური გოლებმა გადაწყვიტეს, თანაც – ეფექტურმა გოლებმა.

# საქართველო სერბეთთან უშანსოა, იმედად ავსტრიაა

**საქართველო-სერბეთი 50:87**

**(11:18, 7:19, 18:23, 14:27)**

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში სერბეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 50:87 დამარცხდა. ეს გახლდათ საქართველოს ნაკრების ყველაზე წარუმატებელი საშინაო მატჩი, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ თბილისს ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები ესტუმრა.

მართალია, სერბებს არ ჰყავდათ მილოშ ტეოდოსიჩი, მიროსლავ რადულიცა, ნიკოლა იოკიჩი, თუმცა ეს ნაკრები ჩვენი წინა დაპირისპირების შემდეგ ევროლიგაში მოთამაშე ცრვენა ზვეზდას წევრებითა და ნბა-ში მოასპარეზე ბობან მარიანოვიჩით შეივსო.

მატჩზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით: სერბებმა ყველა კომპონენტში დაგვჯაბნეს, პირველი წამებიდანვე დომინირებდნენ მოედანზე, ჩვენი ნაკრები კი ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა. კალათშიც ბლომად მიიღეს, თავად კი ქულების მოგროვება უჭირდათ.

იშტაზე ვერ იყო თორნიკე შენგელია და ჩვეულად ვერ ითამაშა. ალბათ დამღლელი სეზონიც ბრალიც არის, მაგრამ თოკოს უკეთესად გარჯა მაინც მართებდა. არც გიორგი შერმადინს გამოუჩენია თავი, რომელიც ამ მატჩში გუნდს კაპიტნობდა.

„ორკესტრში" ვერ ჩაჯდა „მევიოლინე" თედ მაკფადენი, რომელზეც ასევე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მართალია, ჩვენი ნაკრების ახალწვეულმა ყველაზე მეტი (18) ქულა დააგროვა, მაგრამ უკეთეს თამაშს ველოდით.

არ იყო ძველი დუდა სანაძე, რომელსაც ტრავმის გამო ბევრი გაუცდა, მაგრამ არც ასეთ ცუდ თამაშს ველოდით. მერაბ ბოქოლიშვილსა და მიხეილ ბერიშვილზე კი რა უნდა ვთქვათ – საქართველოს სუპერლიგაში მონაწილე გუნდების კალათბურთელების მაქსიმუმი წინა თამაშები იყო და სულ შედეგიანად რომ ვერ ითამაშებდნენ, მანამდეც ვიცოდით.

მატჩის ნათელი წერტილი შესაძლოა იყოს, საქართველოს ნაკრებში ახალგაზრდა ბიჭების გამოჩენა.



სანდრო მამუკელაშვილმა და რატი ანდრონიკაშვილმა ეროვნულ გუნდში პირველად ითამაშეს და მიუხედავად გუნდის დამარცხებისა, მათ დებიუტს დადებითი ეთქმოდა.

**ილიას ზუროსი:**

– ნურაფერს იტყვით კალათბურთელებზე და ნუ დაადანაშაულებთ მათ. ყველაფერს საკუთარ თავზე ვიღებ, პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. ასეთი ცუდი თამაშისთვის პირადად ვუხდი ბოდიშს ჩვენი ნაკრების გულშემატკივრებს. წაგება არსებობს ღირსეული, თუმცა ეს ასეთი არ ყოფილა. მეტოქემ ყველა კომპონენტში დაგვჯაბნა. ჩვენ ვერ ვაჩვენეთ ის, რაც შეგვიძლია და რასაც გულშემატკივარი ელოდა. კალათბურთს აქვს კარგი და ცუდი მომენტები. ეს იყო ცუდი მომენტი, რაც მალე უნდა დავივიწყოთ, რადგან წინ უფრო მნიშვნელოვანი მატჩი გველის. ავსტრიასთან უნდა გავიმარჯვოთ, რომ მსოფლიო შესარჩევ ტურნირში ასპარეზობა გავაგრძელოთ და მოგვეცეს როგორც მაღალ დონეზე თამაშის საშუალება, ასევე იმ ახალგაზრდების განვითარება, რომლებსაც დღეს დებიუტი ჰქონდათ და არცთუ ურიგო.

**თორნიკე შენგელია:**

– ბევრი მიზეზი შემიძლია დავასახელო, მაგრამ არ მინდა, რომ თავის მართლება გამომივიდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სერბეთი სიძლიერით პირველი თუ არა, მეორე გუნდი ნამდვილად არის ევროპაში. თუმცა, ასე არ უნდა წაგვეგო. რა თქმა უნდა, ბევრი შეცდომა გვქონდა როგორც დაცვაში, ისე – შეტევაში. ავსტრიასთან მატჩის წინ, განვლილ შეხვედრას დეტალურად გავაანალიზებთ და დასკვნებსაც გამოვიტანთ. პირველ რიგში დაცვას უნდა მივხედოთ. დებიუტანტებმა კარგად ითამაშეს, თუმცა სათადარიგოთა სკამს სიღრმე მაინც აკლია. თავი მაღლა უნდა ავწიოთ და ავსტრიასთან მატჩისთვის უკეთ მოვემზადოთ. უნდა გამოვასწოროთ ვითარება.

## შედეგები

**30 ივნისი**

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

საფრანგეთი-არგენტინა ................ 4:3
ურუგვაი-პორტუგალია ................ 2:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალერენგა-ბოდო გლიმდტი .......... 2:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ილვესი-ტამპერე ............................ 1:1
კუუპიო-სეინეოკი .......................... 1:1
კემი-ვაასა ...................................... 0:1
ჰონკა-როვანიემი .......................... 2:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## კანადელი 24 ცოლის გამო დასაჯეს



კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის უმაღლესმა სასამართლომ 61 წლის მრავალცოლიან უინსტონ ბლეკმორს განაჩენი გამოუტანა. ის საპატიმრო სასჯელს გადაურჩა.

2017 წლის ივლისში მამაკაცი დამნაშავედ ცნეს 24 ცოლის ყოლაში, ხოლო მისი სიძე, 51 წლის ჯეიმს ოლერი, ერთდროულად ხუთ ქალთან იმყოფება ქორწინებაში.

ბლეკმორს ექვსთვიანი შინა პატიმრობა მიესაჯა, რომლის დროსაც მას უფლება ექნება, იაროს სამსახურში, აუცილებლობის შემთხვევაში მიმართოს ექიმს. ოლერსაც იმავე სახის სასჯელი დაეკისრა, მხოლოდ სამი თვით. უფროს კანადელს 150 საათი საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულება მოუწევს, ხოლო უმცროსს – 75 საათის. ასევე ისინი ვალდებული იქნებიან, 12 თვის განმავლობაში რეგულარულად გამოცხადდნენ პოლიციის განყოფილებაში.

მოსამართლე შერი დონეგენმა აღნიშნა, რომ მართალია, ორივე მამაკაცი შრომისმოყვარეა და სხვა მხრივ ყველაფერში კანონის ფარგლებში მოქმედებენ, მაგრამ მას მათი შეწყალება არ შეეძლო, ვინაიდან ზოგიერთ მათ მეუღლე დაქორწინების მომენტისთვის 15 წლის იყო.

– მან გვაგრძნობინა, რომ ვერანაირი სასჯელი მის რელიგიურ შეხედულებას ვერ შეცვლის. მას არ მოუნანიებია და არც აპირებს ამის გაკეთებას, – განაცხადა მოსამართლემ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბლეკმორს 149 ბავშვი ჰყავს.

## დამლაგებელი სტუდენტებისგან მიღებულმა მსხვილმა თანხამ აატირა

დიდ ბრიტანეთში ბრისტოლის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ფული შეუგროვეს იამაიკელ დამლაგებელს, რათა მას მშობლიური სახლი მოენახულებინა.

დამლაგებელი გერმან გორდონი აქვითინდა, როდესაც მას 1,5 ათასი ფუნტი გადასცეს და აღიარა, რომ ცხოვრებაში ასეთი თანხა ხელში არასოდეს სჭერია. სტუ-



დენტებმა თანხა სამშობლოში ერთკვირიანი შვებულებით გასამგზავრებლად ინტერნეტის დახმარებით შეუგროვეს. სულ თანხის შეგროვებაში 230-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

გორდონს სტუდენტებთან საუბარში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სამშობლო და ოჯახი ენატრებოდა, განსაკუთრებით კი – ბიძია ჯორჯი. თავად ბრიტანეთში 12 წლის ასაკში ჩავიდა და მას შემდეგ ერთხელაც არ მოუნახულებია სამშობლო.

– არ ვიცი, ეს რატომ გააკეთეს, მაგრამ ეს, უბრალოდ, შთამბეჭდავია. დღემდე ვერ დამიჯერებია, რაც მოხდა, – განაცხადა გორდონმა. მან ასევე აღიარა, რომ სტუდენტებთან ამინდსა და ფეხბურთზე ლაპარაკი უყვარს, ზოგჯერ კი მათ სწავლაში დახმარებასაც კი ცდილობს, მიუხედავად იმისა, რომ თავად სკოლას თავი 15 წლისამ დაანება. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები დამლაგებელს „ბედნიერების განსახიერებას" ეძახიან.

## ბრიტანელს რვა თვე საკუთარი ფეხმძიმობა ალერგია ეგონა



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა სიტა მინამ, რომელსაც ეგონა, რომ წონაში ალერგიის გამო იმატებდა, გამოარკვია, რომ 33 კვირის ფეხმძიმე იყო.

ქალმა, რომელიც მზარეულად მუშაობს, აღიარა, რომ უკვე ათი წელია, ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს იღებს და ამიტომ არ მოელოდა, რომ დაფეხმძიმდებოდა. 33 წლის მინა მუცლის გამობერვას ალერგიას მიაწერდა. მას იგივე უთხრა ექიმმა. ამის მიუხედავად, მან მაინც გადაწყვიტა, ფეხმძიმობის ტესტი გაეკეთებინა და ის დადებითი აღმოჩნდა. ვინაიდან ეს მისი მეგობარი მამაკაცის ტონის დაბადების დღეს მოხდა, მან ტესტი სასაჩუქრე ქაღალდში შეფუთა და მას გადასცა. მამაკაცს ეს ჯერ მასხრობა ეგონა, მაგრამ შემდეგ გაუხარდა.

– ამას ვერ ვიჯერებდი. არ მიგრძნია არც ტკივილი, არც გულისრევა და არც სხვა სიმპტომები მქონია, – განაცხადა მინამ. მისი თქმით, მას ძალიან აწუხებს ის, რომ ფეხმძიმობის დროს ჯანსაღი ცხოვრების წესით არ ცხოვრობდა.

– ჩვენ არცთუ იშვიათად ღამის სამ საათამდე ვერთობოდით და ვსვამდით. ზოგჯერ მძიმე სამუშაო დღის შემდეგ კოლეგებთან ერთადაც ვსვამდი. რომ მცოდნოდა, ფეხმძიმედ ვიყავი, ასე არ მოვიქცეოდი, – აღიარა ქალმა.

საბოლოოდ მინამ ფეხმძიმობის შეტყობინებიდან ერთი თვის თავზე იმშობიარა და გააჩინა ბიჭი, რომელიც 3,2 კილოგრამს იწონის და სახელად ბობი დაარქვა.

## მთვრალმა ირლანდიელმა ყოფილ შეყვარებულს შემწვარი ქათამი ესროლა

მთვრალი ირლანდიელი, რომელმაც თავის ყოფილ მეგობარ გოგონას შემწვარი ქათამი ესროლა, სასამართლოს წინაშე წარდგა.

მიმდინარე წლის იანვარში კოლინ კომისკიმ სიბრაზისგან ყოფილ მეგობარ გოგონას ედენ ვან დე ვიუსეს ხელი სტაცა და შემდეგ ქათამი ესროლა. გოგონას სამოსი ცხიმითა და შემწვარი ხორცის ნაჭრებით მოისვარა. ამის შემდეგ ის სააბაზანო ოთახში ჩაიკეტა და პოლიცია გამოიძახა.



ბრალმდებელმა განაცხადა, რომ წყვილი ერთმანეთს სამი წლის ურთიერთობის შემდეგ ინციდენტამდე ორი თვით ადრე დაშორდა და მათი ჩხუბის მიზეზი საცხოვრებელი პირობები გახდა.

ინციდენტის დღეს კომისკი სახლში საღამოს ათის ნახევარზე დაბრუნდა და ძლიერ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მან ალერსიანად სთხოვა ქალს, საწოლიდან ამდგარიყო. როდესაც ამაზე ვიუსესგან უარი მიიღო, გაბრაზდა და უთხრა, რომ საჭმელი მოიტანა. გოგონას არ შიოდა. ამან მამაკაცი კიდევ უფრო გააბრაზა და მას მკერდში ხელი ჰკრა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია, მაშინ კომისკიმ ხელი დასტაცა შემწვარ ქათამს და გოგონას ესროლა, ასევე ტელევიზორისა და სამზარეულოს ავეჯის დამტვრევა დაიწყო.

მამაკაცმა აღიარა, რომ მართლაც თავს დაესხა გოგონას და ის იმ პირობით იქნა გათავისუფლებული, რომ მასთან დაკავშირებას აღარ შეეცდება. განაჩენი 12 ივლისს გამოცხადდება. ცემისთვის მაქსიმალური სასჯელი ექვსი თვით პატიმრობას ითვალისწინებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სპორტი**

## ტორპედოს აკადემიას დევდარიანი უხელმძღვანელებს

სიახლეა ქუთაისის ტორპედოში, უფრო სწორად, კლუბის აკადემიის დირექტორად გიორგი დევდარიანი დაინიშნა.

დევდარიანი საქართველოში კარგად ცნობილი სპეციალისტია. მართალია, კლუბებში მუშაობით დიდად ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ასაკობრივ ნაკრებებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.



აქამდე დევდარიანი საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს წვრთნიდა, იმუშავა თბილისის დინამოსა და ლოკომოტივში, აგრეთვე – გორის დილაში.

განსაკუთრებით წარმატებული ასაკობრივ ნაკრებებში მუშაობა აღმოჩნდა, სადაც რამდენიმე წარმატებას მიაღწია.

**გიორგი დევდარიანი:**

– მინდოდა, ისევ ბავშვთა ფეხბურთში მემუშავა და მეკეთებინა ის, რაც კარგად გამომდის. ძალიან გამიხარდა, როდესაც ტორპედოდან დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს გადასარევი სტრუქტურის იდეა, ანუ აკადემიის, რომელსაც, თამამად ვიტყვი, პრეტენზია ექნება რეგიონში იყოს ლიდერი თავისი მეთოდიკით, აღჭურვილობით, დაგეგმილი მუშაობით. ჩავედი ქუთაისში, ვესაუბრე ხელმძღვანელობას, გავაცანი ხედვები... ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვიყო იქ, სადაც ყველას ეცოდინება, რისთვის ვარ. პასუხისმგებლობას ვიღებ, თუკი ბავშვებისთვის შესანიშნავ პირობებს შევქმნით, ქუთაისში რამდენიმე წელიწადში ბევრი კარგი ფეხბურთელი გაიზრდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



ჩვენს საყვარელ

**მზია ქოქაშვილს**

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და წარმატებებს თავის მეგობრ ადამიანებთან ერთად! უფალი გფარავდეს!

*კეთილი სურვილებით, „ახალი თაობა"*

## ასტროპროგნოზი 2 ივლისისათვის



**ვერძი** – პლანეტების მფარველობას გრძნობთ. კოლეგები და ნათესავებიც თქვენ მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებენ. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა, მთლიანობაში, სტაბილურია. მიზნის მისაღწევად საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ. **ტყუპები** – ქალაქგარეთ გასვლა, ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. რასაც ხელს მოჰკიდებთ, გამოგივათ. **კირჩხიბი** – შემოქმედებით სფეროში წარმატებას აღწევთ. კეთილისმყოფელი დღეა სტუმრების მისაღებად. **ლომი** – საშუალება გეძლევათ, თქვენი შესაძლებლობები სრულყოფილად გამოავლინოთ. კვების რეჟიმი დაიცავით. **ქალწული** – გადაღლა სახიფათოა თქვენი ჯანმრთელობისათვის. ემოციები მართეთ. **სასწორი** – უსიამოვნო სიურპრიზის მიუხედავად, საქმეებს აგვარებთ. მეტი სიბრძნე და თავშეკავება გმართებთ. **ღრიანკალი** – პასიური დღეა. კოლექტიური მუშაობა სასარგებლო იქნება. საკუთარ თავზე დიდ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. **მშვილდოსანი** – ახალი იდეები, ინიციატივა წარმატებას მოგიტანთ. სამსახურში უფროსობა თქვენით კმაყოფილია. **თხის რქა** – წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, სამომავლო გეგმები თამამად დასახეთ. იყავით პრაქტიკული. **მერწყული** – მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მატერიალური დანახარჯი. საკუთარი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. **თევზები** – საქმიანი, შემოქმედებითი დღეა. სხვისი ზეგავლენისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. იყავით დამოუკიდებელი და მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## სკანვორდი



1. ტაბლეტი; 2. უბანი თბილისში; 3. კრემიანი ნამცხვარი; 4. კაბის კიდეზე მოყოლებული ბაფთა; 5. ... გრინი; 6. რუმინელი მწერალი (1852-1912 წწ.)? 7. კომბოსტოს სახეობა; 8. განის დედაქალაქი; 9. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 10. საფრენი აპარატი; 11. მიწაში ამოღრმავებული ადგილი; 12. მურმან ...; 13. სარბიელი; 14. შლამის თევზი; 15. შხამი, საწამლავი; 16. ... ჩიმარო; 17. უეცარი შიში; 18. 100 კვ.მეტრი; 19. მსხვილი ვაჭარი (ძველად); 20. ძვირფასი მინა; 21. გაზაფხულის თვე; 22. რომელიმე ორგანოს გადაგვარება; 23. უშხამო გველი; 24. დრამატურგის ნაწარმოები; 25. სარწყავი არხი; 26. მწვანილი მძაფრი სუნით; 27. საოპერო სიმღერა; 28. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე; 29. ჩვენებითი ნაწილაკი; 30. ქალაქი კახეთში; 31. ქალბატონი (ფრანგულად); 32. მაუგლის მეგობარი პითონი; 33. ცხვრის ჯოგი; 34. სტადიონი ბრაზილიაში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფელდიგიერი; 2. ტეხასი; 3. რენუარი; 4. ლხასა; 5. ბისმარკი; 6. კეინი; 7. ბიშკეკი; 9. ველენი; 13. ვერნი; 17. გემა; 18. ობი.

**თარაზულად:** 1. ფალცეტი; 3. რიგელი; 8. ფიშერი; 10. სამსუნი; 11. ციკლი; 12. „გალუაზი"; 14. დისნეი; 15. შპიგელი; 16. კეგლი; 19. ჯუნგლი; 20. „ლიპტონი"; 21. კალაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დედვეიტი; 2. გალუა; 3. „გრუნდიგი"; 4. ქოქოსი; 7. ჩიყვი; 9. ატოლი; 12. „უსახელაური"; 14. პომპეი; 15. „ლაუდერი"; 17. ფოცხოვი; 20. კიური.

**თარაზულად:** 5. რეფერატი; 6. ბორჩალო; 8. ოპუნცია; 10. სუვენირი; 11. ეტრატი; 13. პრიმასი; 16. გიორგობა; 18. როდეო; 19. ტუნგი; 21. ჰოპერი; 22. არმატურა; 23. თაკვერი.

# ქართული დოკუმენტური კინოს ლეგენდა იური ბარამიძე ყველასგან მიტოვებულია



წელს ქართული კინო 110 წლის იუბილეს აღნიშნავს. საიუბილეო თარილი იმ ადამიანების უგულებელყოფით აღინიშნება, რომელმაც ქართული კინოს ისტორიაში ლომის წვლილი შეიტანა.

მოქანდაკე ირაკლი ჟვანია საზოგადოებას ქართული დოკუმენტური კინოს ლეგენდას, იური ბარამიძეს აცნობს, რომელიც რეზო თაბუკაშვილის, გურამ ჟვანიას, გურამ პატარაიასა და სხვა რეჟისორების დოკუმენტური ფილმების თანაავტორია, დღეს კი, ყველასგან მიტოვებული, სრულიად უსახსროდ, დუშეთის რაიონის სოფელ თანიაანთკარში ცხოვრობს.

**ირაკლი ჟვანია, მოქანდაკე:**

– ვინც კულტურის სამინისტროს უდროოდ წასვლას განიცდის, იმათ საყურადღებოდ:

აი, ეს კაცი ფოტოზე არის ქართული დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი ლეგენდა, კინოოპერატორი იური ბარამიძე. ყველა ჯილდოს და რეგალიის მფლობელი, რუსთაველის და ლომონოსოვის პრემიების კავალერი. საქართველოს დამსახურებული არტისტი. რეზო თაბუკაშვილის, გურამ ჟვანიას, გურამ პატარაიას, სხვებისა და სხვების დოკუმენტური ფილმების თანაავტორი.

როდესაც ქართულ კულტურაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ იურა ბარამიძეც. რომელმაც მისი დიდი მძიმე აგური დადო იმ კულტურის აშენებაში, რომლის სახელიც ჰქვია იმ სამინისტროს.

ბოლოს რომ ვნახე, საზოგადოებისგან მიტოვებული, სრულიად უსახსროდ, ერთი შეშის ფეჩის ამარა ატარებდა დღეებს დუშეთის რაიონის სოფელ თანიაანთკარში.

რომ ვკითხე, ვინმეს თუ გაახსენდი-მეთქი, მიპასუხა, ეეჰ, კარგი რა, ღადაობო...

ვერ მოიძებნა ამ ლეგენდარული კაცისთვის ადგილი ვერც იმ 3550-კაციან სიაში, ივანიშვილი რომ ეხმარება, ეტყობა, ნიჭით ვერ მისწვდა იმ სიის კრიტერიუმებს.

კულტურის სამინისტრომ კი თვეში 200 ლარი ვერ გამოძებნა ასეთი ადამიანებისთვის, რომ შეშა იყიდოს და პური აიტანოს სახლში...

კულტურას სამინისტრო არ აკეთებს.

კულტურას აკეთებდა იურა და აკეთებს იურასნაირი ხალხი.

რომელიც იმ სამინისტროს სულ ფეხებზე ჰკიდია.

ვექტორები გავასწოროთ და სწორად შერჩეულ ღირებულებებზე ვიდარდოთ, ჯობია.

# გიორგი მეგრელიშვილს ტელევიზიები მისი ფილმის ჩვენებაზე უარს ეუბნებიან



მსახიობმა გიორგი მეგრელიშვილმა რეჟისორობა დაიწყო და უილიამ შექსპირის „ჰამლეტის" მიხედვით ფილმი გადაიღო. ფილმის პრემიერა უკვე შედგა და მაყურებელმა ხელოვანის ნამუშევარი მოიწონა, თუმცა ტელეკომპანიებს მისი ფილმის ჩვენების არანაირი სურვილი აქ აქვთ.

**გიორგი მეგრელიშვილი:**

– ერთ-ერთ ყურებად ტელევიზიას უკვე თვეებია ვთავაზობ, აჩვენონ ჩემი ფილმი, უილიამ შექსპირის „ჰამლეტი", მაგრამ უშედეგოდ, მხოლოდ ტევე პირველმა ერთ-ორი თვის წინ აჩვენა ფილმი. მადლობა მათ!

კლასიკას, სამწუხაროდ, დავიწყებულს, ვთავაზობ თანამედროვე სტილით გადაღებულს, რომ უფრო „მარტივი" იყოს მაყურებლისთვის და მისაღები. სამწუხაროდ, ტელევიზიებს, რომლებსაც ფართო აუდიტორია ჰყავთ, ალბათ თვითონ უნდა უნდოდეთ კლასიკური ნაწარმოების პოპულარიზაცია ჩვენ ქვეყანაში, მაგრამ მხოლოდ ის ტელევიზიები არიან ჩართული, რომლებსაც ოდნავ ნაკლები რეიტინგი აქვთ, მაგრამ გამოწვევებს არ გაურბიან!

# ხიდიჯვარის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა




ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულაშენში მდებარე X საუკუნის ხიდიჯვარის ეკლესიას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორ ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ტაძარი დარბაზულია. ნაგებია ნათალი წითელი ქვის კვადრებით. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. კარის ჭრილი თაღოვანია. სამხრეთ კედელში მაღალი, ფართო და თაღოვანი სარკმელია. აღმოსავლეთით ნახევარწრიული ჩაწერილი აბსიდია, რომლის კონქი პილასტრებზე გადასულ თაღს ეყრდნობა, ძველია შემორჩენილი. აბსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელი ამჟამად ამოშენებულია და ნიშადაა გადაკეთებული. აღმოსავლეთის კედელთან დგას ტრაპეზად გამოყენებული ჯვრებითა და ვარდულებით დამშვენებული რელიეფური ბაზა. ტაძარი თაღითაა დასრულებული.

ტაძრის გარშემო ძველი სასაფლაოა, რომელზეც შემორჩენილია ვერძისა და ცხენის ქანდაკებიანი საფლავის ქვები.

# მაია დარსმელიძე ლია უკლებას იცავს



მომღერალი მაია დარსმელიძე მხატვარ ლია უკლებას იცავს. ლია უკლებამ საზოგადოების რისხვა მას შემდეგ დაიმსახურა, რაც თვითმკვლელი ღვთისმშობელი დახატა.

**მაია დარსმელიძე:**

– რომელ მოდაში შემოსულ ათეიზმზე ლაპარაკობთ?! რას ჰგავხართ? რას დაამსგავსეთ ქვეყანა? ნეტა საიდან ან რატომ გაჩნდა ამდენი „ათეისტი", არ გიფიქრიათ? ცალკე საკითხავია, ათეისტს ვის ეძახით: და ეძახით ყველას, ზედიზედ, ვისაც ლოგიკური შეკითხვები ებადება და ოოოდნავ გაანძრია ტვინი! ყველას ან ათეისტს, ან სატანას ეძახით, არც ეს ორია სინონიმი, სი.ებო. ვინც გეუბნებათ, რომ ღმერთი ძალადობა არ არის და არის სიყვარული, სატანას ეძახით.

ამ შუღლზე და აგრესიაზე აგებულ რწმენის პაროდიას და ანაფორიან მაპეტ შოუს ვის აჭმევთ? ან ღმერთი რატოა ბუა, ცოფიანო? წადი, შენი ბნელი და ბოროტი სიტყვაც მოვ..ან, ჩემი ღმერთი სიყვარული და თავისუფლებაა და არაფერი მაქვს შენთან საერთო.

ან რომელ ცენზურაზე ალაპარაკდით? ვინ უნდა აკონტროლოს გამოხატვის თავისუფლება? თქვენ, ბნელო, ბრტყლად და პრიმიტიულად მოაზროვნე მძორებო? რა უნდა აცენზუროთ? ის ნახატი, წიგნი, ფილმი, კლიპი, მემორიალზე ცეკვა, „თვითმკვლელი ღვთისმშობელი", რამაც, წესით, ძალიან ღრმად უნდა დაგაფიქროთ? არ გაწყობთ, რომ ხელოვნება ისედაც წყალწყალა ტვინის განძრევაში და დაფიქრებაში დაგეხმაროთ? სანამ ცოფი თვალებს აგიმღვრევდეთ, არ გიცდიათ უბრალოდ დაფიქრება, რა და რატომ არის გამოხატული ამ ფორმით?

ჩემთვის ის „თვითმკვლელი ღვთისმშობლის" ნახატი, იცით, რა არის? იმდენი რწმენას ამოფარებული ბნელი ფარისეველი და ჩვეულებრივი აფერისტი იბრალებს ქრისტიანობას და ღმერთის და სიყვარულის სახელით შენიღბული იმხელა სიბოროტეს თესავს და ამ სიბოროტით წამლავს ბრმად გამოყოლილ უვიც ბრბოს, რომ სწორედ იმ საფეთქელთან მიტანილი იარაღით უნდა თავის მოკვლა ღვთისმშობელს, რომელსაც არანაირად არ ემეტება თქვენს გასაჯიჯგნად, თქვენს უმადურ ცოდვებს შეწირული იესო, იმიტომ რომ ამხელა მსხვერპლს უბრალოდ არ იმსახურებთ, ბოროტო, დამპალო, სისხლმადიდებელო ბნელებო....

# თბილისში დაკონსერვებული უნიკალური თეატრი გადაითხარა



თბილისის შუაგულში დაკონსერვებული უნიკალური თეატრი გადაითხარა. მისი უნიკალური არქიტექტურა პუშკინის სკვერის ქვეშ ავტოსადგომის მშენებლობას შეეწირა.

ინფორმაცია რეჟისორმა და მხატვარმა მაია კიკაბიძემ გაავრცელა:

– პუშკინის სკვერის ქვეშ ავტოსადგომის ტრაქტორებით გათხრა მშვენიერებაა და ისტორიული საქმე, დღევანდელობის კიდევ ერთი საამაყო ნაბიჯი.

აი, ის დაკონსერვებული უნიკალური თეატრი რომ ელოდებოდა, როდესმე აღმადგენენო, ის თეატრი, რომელიც თავისი არქიტექტურით უნიკალური და ძველი თეატრების მსოფლიო ათეულში რომ შედიოდა, აი, ის რომლის სანახავად სწორედ რომ სპეციალურად ჩამოვიდოდნენ არა ის უფულო ზურგჩანთიანი ტურისტები, არამედ ფულიანი და ხელოვნების მოყვარულები, აი, ის თეატრი გადაითხარა და ეს არ იცოდნენ, ვინც ამ ადგილს ყიდდა ან ათხრევინებდა?

გასაგებია, რომ უმრავლესობამ არ იცის ეს ამბავი და ვინც იცის, იმან კი თქვა, მაგრამ რა? ჰოდა, კიდევ ბევრი საინტერესოა თბილისის ქვეშ ისტორიული და უნიკალური, აბა, ჰეე, მიწისქვეშა პარკინგებისთვის გადათხარონ!

თბილისი რომ რამდენიმე ხევზეა გაშენებული, ვნახავთ მერე ჩანგრევას მიწების, თხარეთ მიწისქვეშაც, მიწისზევით ბეტონებით დაამძიმეთ და წავიდა გულავიი.

ქალაქის გენგეგმა სად არის? სანამ ყველაფერი არ გადაითხარ-გადაბეტონდა, იქამდე არაა? და თბილისის განადგურება დაგინებული აქვთ თუ დედაქალაქი ვერ აიტანეს?

როგორც გიორგაძეს მოეკითხება საყდრისის აფეთქება, ასევე მოეკითხება ნარმანიას თბილისის მკვლელობა და იმათაც, ვინც აგრძელებს ამას ან ადრე აკეთებდა. არავინ იცის წინ მომავალი!

# კოკა ნიკოლაძეს ოსლოში გენიოსი უწოდეს



ახალგაზრდა კომპოზიტორი და მუსიკოსი კოკა ნიკოლაძე ნორვეგიაში ცხოვრობს. ის ოსლოში სწავლობს და, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, ფართო საზოგადოების გაოცებას ახერხებს. კოკა მუსიკალურ საკრავებს ქმნის. მისთვის უკრავს ყველაფერი – ზამბარა, ხის ყუთი, ჭანჭიკი თუ რეზინი. კოკას ლეპტოპის ვიოლინოდ ქცევად შეუძლია.

ქართველ კომპოზიტორსა და მის შემოქმედებას უცხოეთში კარგად იცნობენ. ამის დასტურია ქართველი შემოქმედის მიწვევა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ თედექსის ღონისძიებაზე, სადაც განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანებს იწვევენ.

კოკამ დამსწრე საზოგადოებას თავისი ერთ-ერთი მუსიკალური საკრავი წარუდგინა და მქუხარე აპლოდისმენტები და ხანგრძლივი ოვაციებიც დაიმსახურა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### ექვსმა ქალმა ყველგანმავალი ასწია და ქვეშ მოყოლილი მამაკაცი გაათავისუფლა




ჩინეთში საბავშვო ბაღის ექვსი მასწავლებელი ყველგანმავალის ბორბლებქვეშ მოყოლილ მამაკაცს დაეხმარა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ჰებეის პროვინციის გუანის ოლქში მოხდა. 50 წლის მამაკაცი საბავშვო ბაღთან გზაზე გადადიოდა. ის ტელეფონზე საუბრობდა და მოახლოებული ავტომობილი ვერ შენიშნა. მძღოლმა რეაგირება ვერ მოასწრო და ბორბლით მამაკაცს ფეხზე შედგა.

ბაღის დამრიგებლებმა ეს შენიშნეს და დაუყოვნებლივ გაეშურნენ დასახმარებლად. ექვსი ქალი საბავშვო ბაღის ტერიტორიიდან გამოცვივდა და 20 წამზე ნაკლებ დროში ავტომობილი ასწიეს. მამაკაცი ფეხის მრავლობითი მოტეხილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

საბავშვო ბაღის დირექტორმა თავის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა მათი საქციელის გამო.

– მეამაყება, რომ ჩემთან ასეთი კეთილი, გულთბილი დამრიგებლები მუშაობენ. ისინი შესანიშნავ მაგალითს აძლევენ მომავალ თაობას, – აღნიშნა საბავშვო ბაღის დირექტორმა.

### მთვრალმა ჩინელმა შეცდომით ტაქსიში ასმაგი ოდენობის თანხა გადაიხადა



ჩინეთში ტაქსის ნასვამმა მგზავრმა შეცდომით მძღოლს იმაზე ასჯერ მეტი თანხა გადაუხადა, რაც სინამდვილეში უნდა გადაეხადა.

ინციდენტი ანხოის პროვინციის ქალაქ ხეფეიში მოხდა. მგზავრმა მობილური დამატება გამოიყენა იმისთვის, რომ მგზავრობის საფასური გადაეხადა, მაგრამ თანხის გამოყვანის დროს შეცდა. 14,90 იუანის ნაცვლად მან მძღოლს 1499 იუანი გადაუგზავნა. მძღოლმა შეცდომა მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შენიშნა, როდესაც ამოწმებდა, თუ სამუშაო დღის განმავლობაში რამდენი გამოიმუშავა.

ტაქსის მძღოლმა მგზავრი დაახასიათა, როგორც „ოდნავ ნასვამი" და აღნიშნა, რომ ის მანქანაში მას საღამოს დაახლოებით ცხრა საათზე ჩაუჯდა. მან ტაქსოპარკში მომხდარის თაობაზე მას შემდეგ განაცხადა, როდესაც თავად ვერ მოახერხა მგზავრის მოძებნა. ორი დღის შემდეგ კი კომპანიამ ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა, რათა მგზავრის მოძებნაში დახმარებოდა. მის კვალს ამ დრომდე ვერ მიაგნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 ივლისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4516 | ევრო — 2.8537 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2209 | 100 რუსული რუბლი — 3.9019 |

## ამინდის პროგნოზი 2 ივლისისთვის




## იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი



ალექსანდრე იასაღაშვილი
მგლის ბილიკი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი



ალექსანდრე იასაღაშვილი
შავი ვარდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი



იორამ ჩადუნელი
საზღაური
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი



რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი



ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი



ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი



მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რომ დაინახო, ჩვენი დეპუტატი წყალში იხრჩობა, თოკის რომელ ბოლოს გადაუგდებდი?

– ორივეს.

•••

გოგონას აუზში ცურვისას საცურაო კოსტიუმი გასძვრა. მან იქვე დიდი ზომის ქაღალდი შენიშნა წარწერით, ხელი სტაცა, აიფარა და ასე გაიქცა სასტუმროში საკუთარი ნომრისკენ. მიმავალს ისტერიული ხარხარი მოესმა.

– ჰმ, მე დამცინიან, – ჩაილაპარაკა და ნომერში შევიდა. სარკეში ჩაიხედა და ქაღალდზე გაკეთებულ წარწერას კითხულობს: „მხოლოდ დიდებისთვის. სიღრმე 2-დან 10 მეტრამდე“.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– გივი პირველივე ნახვით შეგიყვარდა?

– არა, მეორედ, პირველად ხელზე ოქროს როლექსი ვერ შევნიშნე.

•••

მოსამართლე დამნაშავეს ეუბნება:

– გილოცავთ! თქვენ ჩვენი სასამართლოს მეათიათასე კლიენტი ხართ! ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის პატივსაცემად შეგიძლიათ, თავად აირჩიოთ, თუ რომელ ციხეში მოიხდით სასჯელს.

– ქალების!

•••

ხალხით სავსე ავტობუსი. ერთი მგზავრი მეორეს ეკითხება:

– შემდეგ გაჩერებაზე ჩადიხართ?

– დიახ.

– კიდევ კარგი, თორემ თქვენი ყურება ყელში ამოვიდა.

•••

მამაკაცი ექიმს მიმართავს:

– ექიმო, ამ ბოლო დროს ძალიან ვნერვიულობ და იქნებ დამეხმარო?

– რაშია საქმე?

– ყოველ საღამოს ცხვარს ვითვლი და მერე ვიძინებ.

– ეს კარგია.

– რა არის კარგი, ყოველ დილით ერთი ან ორი ცხვარი მაკლდება.

– ???

– მეცხვარე ვარ, მეცხვარე.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

ბოაი



ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

## ესპანეთი–რუსეთი 1:1 (3:4პ)

**მოსკოვი. ლუჟნიკი**

1:0 იგნაშევიჩი (12სკ), 1:1 ძიუბა (41პ)

**ესპანეთი:** დე ხეა, ნაჩო (კარვახალი 70), რამოსი, პიკე, ალბა, ბუსკეტსი, კოკე, ასენსიო, დ.სილვა (ინიესტა 67), ისკო, კოშტა (ასპასი 79)

**რუსეთი:** აკინფეევი, ფერნანდეში, კუტეპოვი, იგნაშევიჩი, კუდრიაშოვი, ჟირკოვი (გრანატი 46), კუზიაევი, ზობნინი, სამედოვი (ჩერიშევი 61), გოლოვინი, ძიუბა (სმოლოვი 65)

ესპანეთმა თამაში ისე დაიწყო, როგორც სჩვევია, ბურთს აკონტროლებდა და ამ მხრივ უდიდეს უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ხიფათის შექმნას ვერ ახერხებდა. რუსები 5 მცველით იცავდნენ თავს და ტექნიკურ ესპანელებს უჭირდათ ამ ზღუდის გადალახვა. ესპანელთა გოლი სტანდარტულ სიტუაციას მოჰყვა, როდესაც ასენსიოს ჩაწოდების შემდეგ ბურთისთვის რამოსი და იგნაშევიჩი იბრძოდნენ და რუსმა ფეხბურთელმა ბურთი საკუთარ კარში გადაგზავნა.

ესპანეთი დაწყნარდა და დაისაჯა. რუსები მწვავედ ათამაშდნენ და რამდენიმე მცდელობის შემდეგ პენალტის დარტყმის უფლებაც მიიღეს. ძიუბამ ზუსტად დაარტყა 11 მეტრიდან – 1:1.

მეორე ტაიმში ძირითადად ესპანეთი უტევდა, მაგრამ ისევ – გაუვალი ზღუდე. იერომ შეცვლებს მიმართა – მოედანზე ინიესტა და კარვახალი შეუშვა, მაგრამ მატჩის მიმდინარეობა არ შეცვლილა.

დარჩენილი დრო ესპანეთი უდიდეს უპირატესობას ფლობდა, 2-3 მომენტიც შექმნა, მაგრამ აკინფეევის კარის აღება ვერ მოახერხეს და საქმე პენალტებამდე მივიდა.

სერიაში უფრო ზუსტი სტანისლავ ჩერჩესოვის გუნდი აღმოჩნდა და რუსეთის ნაკრები მეოთხედფინალში სენსაციურად გავიდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – იგორ აკინფეევი

რუსების მეკარემ მატჩის მიმდინარეობის დროსაც რამდენჯერმე იხსნა თავისი კარი, ხოლო პენალტების სერიაში ორჯერ აუღო ესპანელებს და რუსებს მეოთხედფინალის საგზური მოუპოვა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



## ავსტრალიის აეროპორტში დავიწყებული კურდღელი ბომბი ეგონათ

ავსტრალიაში აეროპორტში დარჩენილი კოლოფი, რომელშიც კურდღელი იჯდა, ბომბი ეგონათ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი ახალი ამბების პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი სამხრეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ ადელაიდას აეროპორტში მოხდა. დამლაგებელმა ქალების ტუალეტში საეჭვო ჩანთა შენიშნა. ადგილზე გამოცხადდნენ გამნაღმველები. მათ ჩანთა გაჩხრიკეს, რომელშიც აღმოჩნდა კოლოფი, მასში კი კურდღელი იყო მოთავსებული.

– ჩვენ ყველაფერს, რაც ავიაციას უკავშირდება, სრული სერიოზულობით ვეკიდებით და ჩვენი გამნაღმველები არ მოელოდნენ, რომ დავიწყებულ ბარგში კურდღელს ნახავდნენ, – განაცხადა პოლიციის უფროსმა ბრეტ მაკენიმ. კურდღელი ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებას გადაეცა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



## კროსვორდი

**თარაზულად:** 4. რამდენიმე მექანიზმის შემცველი რთული მანქანა; 6. ოთხი მუსიკალური შემსრულებელი; 8. ფილტვების დაავადება; 10. სამხედრო წოდებულება; 11. ცვარ-...; 12. მუსლიმანობა; 14. ქალაქი საფრანგეთში; 17. მარადმწვანე ხე შხამიანი ნაყოფით; 19. ნავსადგური; 20. მესერი; 21. ქიმიური ელემენტი; 22. ქუჩა ნიუ იორკში; 23. მდინარის მტაცებელი თევზი.

**შვეულად:** 1. ერთგვარი სოკოთი შედედებული მაწონი; 2. კუჭის გარსის ანთება; 3. ქიმიური ელემენტი; 5. ორგანული ნაერთი ქვანახშირის ფისში; 7. მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 9. ულტობი ქსოვილი იატაკის დასაფარავად; 13. იატაკის საცხი; 15. ფარული დაცინვა; 16. ძლიერი შხამი; 18. წვრილი ხმა სიმღერაში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

